№ 2775
შაბათი,
19 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2775
შაბათი,
19 მარტი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა-დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ნატალია მათეს ასული და ვასილ იაკობის ძე გლურჯიძენი, დარია ვასილის ასული კნ. ლიონიძისა, ალექსანდრა ვასილის ასული კნეინა ციციშვილისა და ვლადიმერ ვასილის ძე გლურჯიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველნი ორი შვილისას და დანარჩენნი ძმისას

გიორგი ვასილის ძე გლურჯიძისას.

პანაშვიდი დანიშნულია თელავის სობოროში 21 მარტს წირვის შემდეგ. ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა პატივი გვცენ. (3—6.—2)

კვირას, 20 მარტს, ქ. ფოთის საკათედრო სობოროში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

მაქსიმე ანდრიას ძე ალანიასი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულის **მარიამ და შვილები ალექსანდრე და ვლადიმერი.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე და პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე. (1—113—1)

რაც-კი ახალია ამ სეზონში

მოსდის

ყოველ კვირა ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის შეკერილ ტანისამოსის კავკასიის პირველ ამხანაგობის საქარხნო დეპოს, ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ბ-ნთ ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მუშტარს შეიძინონ ჩვენ ქარხანასა და სახელოსნოებში ინგლისის და საფრანგეთის სამოდო ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონების ქალთა ზედა ტანისამოსი, კაცთა და ბავშვთა კოსტუმები და პალტოები ყოველგვარ მატერიისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთ ქარხნებზე დამზადებული. ფასი სულ მცირეა.

შეუდარებლად (3—2)

პარასკევს, 25 მარტისთვის, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **საზოგადო კრება კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა.**

იმათ, ვისაც საზოგადოების წევრობა სურს, შეუძლიანთ ჩაეწერონ ს. კ. მიხაილოვთან („ტფილ. ლისტ."-ის რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან („ცნ. ფურ." რედაქცია) და რ. ა. იოანესიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში.

სასტამბო სახელოსნო

იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—2)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

„კოლხიდა"-სთან

იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შამბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ 31 მარტს, დილის 11 საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა), მოხდება საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა.

განსახილველი საგნები:

3. თავად-აზნაურთა უქვეშევრდომილესი ადრესი მისს იმპერატორებით უდიდებულესობას, 2. განხილვა და შემუშავება ტფილისის გუბერნიის გლეხთა დასამშვიდებლად. (3—6.—1).

პარიკმახერთა

ამქრის უსტაბაში

ივანე ნიკოლოზის ძე მხეიძე აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალ კვირას მოხდება

საერთო ყრილობა

ამქრის ოსტატებისა. ყრილობამ უნდა განიხილოს საქმე ოსტატების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე გააწესრიგოს სამუშაო დრო და სხვა. (2—1)

ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული კომისია **ბაქოში 6—9 თებერვალს მომხდარ არეულობის დროს დაზარალებულთათვის** დახმარების აღმოსაჩენად ამით აცხადებს, რომ შემოწირულებათა მიღება 15 ამა მარტიდან მოისპო. (1—6.—1)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია", გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი"

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაკზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მცხოვრებთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბქ.—8)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ზ. ი. ხიზანიძე. კბილის 8—9 საათ.

გ. გ. მაღლაფერიძე. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ს. ი. ყულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ი. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

გ. მ. მაჭუტაძე. შინაგ. და ბავშვ. 12—1.

დ. ა. [illegible].—შინაგანი, და ნერვების 12—1 ს.

ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობ., სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. [illegible].—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ჯაფარიძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ფასით 2-დან სამ მანეთამდე. საზრდო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდთან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 ნ.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—24)

ექიმი

ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—55).

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ბინა აქვს: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7, კვირა-უქმით 10—1-მდის.

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—38)

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ხემცების ეკლესიის პირდაპირ, ტელეფ. 729. (30—91—12)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—39)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. ტამბაში. (25—20)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

17 მარტი.

ტოკიო. რუსის არმია სინცზინისკენ იხევს და მყარდება დაახლოვებით 75 მილის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუშუნიდან და სამხრეთით გირინიდან. ადგილები მთა-გორიანია. რუსებს არ აქვთ საკმაო სურსათი ამ ადგილებში. რუსებს ჰყავს ერთი საარმიო კორპუსი, რომელიც წინათ მათ მარცხენა ფრთას შეადგენდა. რადგანაც იაპონელები უახლოვდებიან გირინს, ამიტომ, ჰფიქრობენ რომ რუსები დაამწყრივებენ თავიანთ ჯარებს საომრათ და შეებრძოლებიან მტერსო.

ლონდონი. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, მშვიდობიანათ მოვიდა რუსეთში გოლლანდის სისტემის წყლის ქვეშ მოსიარულე 12 ნავიო.

ნიცა. ნიცაში მყოფმა მაგარაჯა კაპურტალმა, რომელიც გამოჩენილი პირია ბრიტანიის ინდოეთში, განუცხადა კორესპონდენტს, რომ ინდოეთში ცოცხალის ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს რუსეთ-იაპონიის კონფლიქტსაო და დასძინა, ომი რომ ათის წლის წინათ დაწყებულიყო, მაშინ მთელი აზია ფეხზე დადგებოდა; ეხლა-კი პირობები შეიცვალა და ინგლისს არ შეუძლიან იფიქროს ომის გამოცხადებაზე, ვინაიდგან ეს ომი არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა მას, იმიტომ რომ მან აზიაში უმაღლეს წერტილამდე აიყვანა თვისი უფლების მოყვარეობაო. მაგარაჯამ სთქვა, ჩემი ევროპაში ყოფნა იმის დამამტკიცებელია, რომ ინდოეთში მშვიდობიანობა სუფევს და ამ მშვიდობიანობას არაფერი არ ემუქრება მომავალშიო.

18 მარტი

პარიზი. „ჟურნალ"-ის კორესპონდენტი ლუი ნოდო, რომელიც მუკდენთან დაატყვევეს იაპონელებმა, ტელეგრაფით იუწყება, განმათავისუფლეს ისე, რომ არავითარი განსაზღვრა არ მოუყენებიათ, ამიკრძალეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით იაპონიის არმიის შესახებ ცნობების გამოქვეყნება. მუკდენიდან დალნამდე რუსის ტყვეებთან ერთად მოვდიოდი და რუსეთის ხალხს ანუგეშებს იმის გაგება, რომ იაპონელები საქებრათ ექცევიან რუსის ტყვეებსო.

ხარბინი. (საკუთარ კორესპონ.). აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველის ბრძანებით აეკრძალათ ხარბინში შემოსვლა მოსამსახურეთა და კერძო პირების ოჯახებს. უკანა ჯარების უფროსმა აუკრძალა ხარბინიდან გასვლა იმ პირებს, რომელთაც სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ომის დროს. ეს ბრძანება ქალებს არ შეეხება. ხარბინი ცარიელდება.

კოპენჰაგენი. პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი მეფის დაბადების დღეს მოვა, როგორც გერმანიის იმპერატორის წარმომადგენელი.

სოხუმი, 17 მარტი. დღის 12-ის ნახევარზე უცნობმა რამდენჯერმე ესროლა პარკის ახლოს მიმავალ სოხუმის ოლქის უფროსს პროკუდინსკის, მაგრამ ვერა ავნო-რა. სტრაჟნიკებმა სროლა დაუწყეს გაქცეულ დამნაშავეს.

რიგა. გუბერნატორის განკარგულებით რუსის სალიტერატურო წრეს აეკრძალა კრებების გამართვა. ქალაქ გარეთ მოჰკლეს რუსეთ-ბალტიის სავაგონო ქარხნის ხელოსანი. მკვლელნი მიიმალნენ.

კრემენჩუგი. გარდაიცვალა ათეცერი კრუდოვი, რომელიც ბოროტ-განმზრახველებისაგან იყო დაჭრილი.

იალტა. დივადიაში ცეცხლი არ გაჩენილა. იალტაში ბულვარის ქუჩაზე დაიწვა საუფლისწულო მამულის შენობა, რომელსაც სახელად „ლივადიის"-ა ერქვა.

ვენა. „დოიტშე ფოლკებლატ"-ი იუწყება, რათა ტიროლის საზღვრები უფრო გამაგრებულ იქნან, ავსტრიის სამხედრო უწყებამ გაგზავნა თრასზე მეტი ზარბაზანი.

ტრიესტი. „ავსტრიის ლლოიდ"-ი აცხადებს, 20 მარტიდან „ლლოიდი"-ს გემები წესიერათ მიმოსვლას დაიწყებენ ბათუმამდეო.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მეფე ალფონსი 15-დან 16 მარტს კაემგზავრება სამოგზაუროთ. მეფე პარიზში 17 მარტს მივა. როდის წავა, მეფე გენაში, არ არის ჯერ გამორკვეული.

სამარა. დაიწვა ბოგატოვის საშაქრე ქარხანა.

ათინა. იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც მინდობილი აქვთ კრიტოსის დაცვა, განაცხადეს, კუნძულზე წესიერების აღსადგენათ ჯარებს გავგზავნითო; ამასთან პროკლამაციებიც გამოსცეს და მეფის ძის გიორგის სურვილისამებრ 36-ს საათი დაუნიშნეს აჯანყებულებს იარაღის დასაყრელად.

მოსკოვი. საშუალო სასწავლებლებს ცირკულიარი დაეგზავნა, სადაც მასწავლებლებს ურჩევენ მოსწავლეებს ნუ გაადევნებთ, ისე მოექეცითო. სასწავლებლის უფროსს წინადადება მიეცა, ეურჩდება მიაქციოთ ნერვებ აშლილ მასწავლებლებსაო.

იალტა. საბჭომ უარ-ჰყო საქალაქო მილიციის პროექტი.

ლონდონი. ამერიკის სან-დომინგოელმა ელჩმა ტელეგრაფით აცნობა ვაშინგტონში, დღესასწაულებზე აჯანყება ხდება. პრეზიდენტმა გადასწყვიტა გაგზავნოს პორტო-პრენსში სამხედრო გემით საზღვაო სალდათები ამერიკის ქვეშევრდომთა დასაცველად.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ბატმა დაამოწმა, რომ ავღანისტანთან შეკრული კონვენცია განსვენებულ ემირთან შეკრულ კონვენციის დამტკიცებას ნიშნავსო.

დვინსკი. გუშინ დილის ათ საათზე რევოლვერით დასჭრეს პოლიცმეისტრის თანაშემწე ბულიგინი. მას სამჯერ ესროლეს. დამნაშავენი მიიმალნენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

17 მარტი

კალკუტა, 16 მარტი. მეფის თანაშემწის თათბირზე ბიუჯეტის შესახებ რჩევის წევრმა ჰოლგელმა განაცხადა: ვწუხვარ, რომ ხარჯი გადავდეთ დიდ ომებისთვის და ეხლა კი აღარაა საჭირო, რადგანაც რუსეთი დასუსტდაო. მეფის თანაშემწემ კი უპასუხა, რომ რუსეთ-იაპონიის ომი ამართლებს ინდოეთის სამრათ მომზადებასო.

ბერლინი „ბერლ ტაგებლატ"-ი იუწყება ტოკიოდან, იაპონელები სწრაფად მიდიან წინ და მიზნათ აქვთ გარს შემოერტყან რუსებს. ჩქარა საერთო გალაშქრებას მოელიან. ჰფიქრობენ, რუსები სუნგარის ხეობაში დაიხევენ და ხარბინის ახლოს დამყარდებიანო.

ფრანკფურტი მაინზე. „ფრანკ. ციტ". იუწყება პარიზიდან, ვითომც, რუსეთის წრეების ცნობით, შესაძლებელია ომი ისე გათავდეს, როგორც გათავდა ყირიმისა ე. ი. კონგრესით პარიზში, რადგანაც იაპონიასაგან წამოყენებულ პირობების გარჩევაში დაინტერესებულია არა მარტო რუსეთი, არამედ სხვა სახელმწიფოებიც.

პარიზი. მატენ"-ის თანამშრომელი, რომელიც როჟესტვენსკის მიუღია მარტის დასაწყისში, ამბობს, ადმირალის სიტყვით ნოსიბეში მშვენიერი სადგომია, მას კარგათ ეპყრობიან იქაური მკვიდრნი; ადმირალმა დაადასტურა, ჰულის ინციდენტის დროს ნაღმოსანი იყოო; იგი კმაყოფილია მეზღვაურებით, რომელთა რიცხვი 12000-ია, ავადმყოფებიც ცოტა ჰყავსო.

ლონდონი, (რეიტ). დეპუტატთა პალატაში სამხედრო ბიუჯეტზე იყო თათბირი. კლოდ ლოუტერმა განაცხადა, ინდოეთის ჯარების შემცირება შეუძლებელიაო. რუსეთისაგან მაღებული ზომები ინდოეთის საზღვართან იმის მომასწავებელია, რომ ინგლის-იაპონიის კავშირი უნდა გაფართოვდეს. ორივე სახელმწიფომ ერთ-ერთი უნდა დაიცვან—ინგლისმა ფლოტით, იაპონიამ—არმიით, იმ შემთხვევაში თუ იმათ სამფლობელოებს აზიაში მტერი დაეცა.

სტამბოლი. სამოქალაქო აგენტების წინადადებისამებრ, ხილმი-ფაშამ მასწერა მაკედონიის გენ. გუბერნატორებს, არავინ არ დაიჭირონ უმიზეზოთ.

პარიზი. „ტანი" იუწყება, ამუშავებენ გეგმას, ინგლისისა და საფრანგეთის ჩრდილოეთ-ზღვის ესკადრების მეგობრულ შეხვედრისთვისო. ალბათ, საფრანგეთის ესკადრა ინგლისის ნავთსადგურში შევა.

ბერლინი. „ტან"-ისაგან მოწოდებულმა ცნობამ ინგლისისა და საფრანგეთის ესკადრების შეხვედრის შესახებ ყურადღება მიიქცია. მაროკოს საკითხთან ერთად სჯა-ბაასი აქვთ გაზეთებში გამოქვეყნებულ დელკასეს აზრზედ. განსაკუთრებით „ტან"-ის განცხადებაზე, რომ პარიზი, ლონდონი და მადრიდი ერთად იმავე პროგრამას აღიარებენ მაროკოში და გერმანიის მზრუნველობა მის სავაჭრო ინტერესებზე მაროკოში შეიძლება მიენდოს გერმანიის ელჩს პარიზში. ყველაფერი ეს არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა აქაურ სერიოზულ პოლიტიკურ წრეებში არ მოელიან სამერმისო გართულებას და უსიამოვნების მოხდენას საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობაში.

პეტერბურგი, 17 მარტი. გუშინ იმ კომისიის სხდომაზე, რომელსაც მინდობილი აქვს სენატის დაწესებულების გადახედვა, კომისიის წევრებს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ სხვა უწყებების წარმომადგენელნიც, მათ შორის მინისტრების ყველა ამხანაგები. ფინანსთა მინისტრის თანაშემწეს თ. ობოლენსკის დროებით მიენდო თავად-აზნაურების და გლეხების ბანკების მმართველის თანამდებობის აღსრულება, ამასთანავე იგი განთავისუფლებულია გაუწერელ გადასახადისა და სასმლების სახელმწიფოთ გაყიდვის მთავარ სამმართველოს უფროსის თანამდებობისაგან; ამ უკანასკნელის თანაშემწე ნოვიცკი ინიშნება უფროსის ადგილზე. ტავრიდის გუბერნატორს ტრეპოვს ტაინი-სოვეტნიკობა ებოძა და უმოწყალესად ებრძანა მონაწილეობა მიიღოს ხოლმე უმართებულეს სენატში.

ლისაბონი. იმპერატორი ვილჰელმი წავიდა გემ. „ჰამბურგ"-ით.

პეტერბურგი, 18 მარტი. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ გამართულ საკანცელარიო თათბირზე მიღებულ იქნა არსებული წესი პერიოდულ გამოცემის საცენზურო წარდგენისათვის ე. ი. გაზეთები უნდა წარადგინონ, როცა დასაბეჭდათ იქნებიან გამზადებული, ჟურნალები-კი 4 დღის წინ ხელის მომწერლებისთვის დარიგებამდე, ანა და გასაყიდათ გამოშვებამდე; ამასთან უფროს მგდებელ დაწესებულებას ნება ეძლევა არ გაუშვას პერიოდული გამოცემა, თუ მას რამე საწინააღმდეგო დაინახა და ამასთან მან სამართალში უნდა მისცეს დამნაშავე. განსაკუთრებული ცენზურა სასულიერო წიგნებისა ხმის უმეტესობით, ერთის წინააღმდეგ, უკუგდებულ იქნა.

პარიზი. პრესის აზრით, მაროკოს ინციდენტი უფრო დააახლოვებს საფრანგეთს და ინგლისს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიისა და რუსეთის ფლოტის შეხვედრა ინდოეთის ოკეანეში. მუკდენის ტრაგედიამ დროებით ყველას დაავიწყა ფლოტის მოქმედება, მაგრამ თუ ზოგიერთ გაზეთის ცნობა გამართლდა, იქნება მალე ზღვაზეც დიდებული ბრძოლა მოხდეს.

„რუს"-ი იუწყება: პეტერბურგში 12 მარტს, ხმა გავრცელდა, ვითომ 11 მარტს ინგლისის საზღვაო სამინისტროს დეპეშა მოუვიდოდეს კუნძულ მავრიკის გუბერნატორისაგან, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა იაპონიის ესკადრის მოწინავე რაზმს შეხვდაო; რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელებზე; ბრძოლა დაიწყო, ჯერ შედეგი არ იციანო.

იქნება ეს ხმა არ გამართლდეს, მაგრამ მაინც ბევრნი ჰფიქრობენ, შეიძლება, მალე დიდი ბრძოლა მოხდეს ზღვაშიო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე მეტად არეული, ჭრელი ცნობები იბეჭდება. თებერვლის გასულს ხმა გავრცელდა, ვითომ რუსის ფლოტი კუნძულ მადაგასკარიდან შინ ბრუნდებოდესო, მერე ცნობა მოვიდა, რუსის ფლოტი ზონდის სრუტისაკენ გაემართაო, ბოლოს სთქვეს, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა კუნძულ მადაგასკარს ახლო დგას ისევ და მესამე ესკადრის მოსვლას ელისო. იაპონიის ფლოტის მოქმედებაზეც არა ნაკლები არეული ცნობები მოდიოდა. ზოგი ამბობდა, იაპონიის ფლოტი სინგაპურთან ელის რუსის ესკადრას, ზოგი ირწმუნებოდა, ადმ. ტოგო ინდოეთის ოკეანეში წავიდა რუსის ფლოტზე დასაცემადაო.

ბერლინიდან ატყობინებენ „რუს"-სა: 11 მარტს ბერლინში დეპეშები მიიღეს, ინდოეთის ოკეანეში სხვა და სხვა ადგილას რუსის გემები უნახავთ, ბერლინის სამხედრო და მეზღვაურთა წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე ცნობა მოვა ფლოტის ბრძოლაზეო. ერის ადგილობრივ დაწესებულებას სიდუმლოდ ატყობინებენ სინგაპურიდან, გუშინ-წინ სინგაპურიდან 40 მილზე ხელ-ახლად ვნახეთ იაპონიის კრეისერებიო.

ინგლისურ გაზ. „სტანდარდ"-ს არა სჯერა, რომ რუსეთის ესკადრა წინ წასულიყოს იაპონიის ესკადრასთან შესაბრძოლებლად. გაზეთი ჰფიქრობს, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა შინ დაბრუნდება, მაგრამ ადმ. ტოგო მოეწევა და უბრძოლველად ხელიდან არ გაუშვებსო. მომავალი ბრძოლა მარტის გასულს (ძველის, ჩვენებურის სტილით) მოხდება ან ფერნანდო პოსთან გვინეის ყურეში, თუ რუსის ესკადრა აფრიკის გარშემო წავა, ან ადენს ახლო, თუ ადმ. როჟესტვენსკი მეწამულ ზღვისა და სუეცის არხისაკენ გაემართებაო („ო. ნ.").

ზოგს არა სჯერა, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შინ დაბრუნდეს. ინგლისური გაზ. „თაი პიონერ მეილ"-ი სწერს: „საკვირველია, რომ მთელის ქვეყნიერობის პრესამ ასე მალე დაიჯერა ეს ამბავი. შინ რად უნდა დაბრუნებულიყო რუსის ადმირალი? ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა კარგადაა მოწყობილი და ყველა სამზადისი

ქარბადა აქვს. პირიქით, როცა ახალი გემებიც (მესამე ესკადრა) ჩაუვა, რუსის ფლოტს დიდი ძალა ექნება და მეტი გემი ეყოლება, ვიდრე ადმ. ტოგოს ესკადრას. რუსის ფლოტის დიდი ნაკლი ისაა, რომ კარგი მზვერავი გემები არა ჰყავს. რუსის მზვერავი გემები ნელა დადიან, ჯავშანი არ აკრავთ და ცოტა ქვა-ნახშირი მიაქვთ. ყველა ამ მიზეზით რუსის მზვერავ გემებს შორს წასვლა მტრის დასახვედრათ არ შეუძლიანთ. კრეისერი „ოლეგი“ სწრაფად დადის და საკმაო ქვა-ნახშირის საწყობი აქვს, მაგრამ ჯავშანი არ აკრავს და ამიტომ იაპონიის კრეისერების დანახვის უმალ, უნდა დაიმალოს. კრეისერებს „ჟემჩუგ“-სა და „იზუმრუდ“-საც ცოტა ქვა-ნახშირი მიაქვთ და მტრის გემების დაზვერვა არ შეუძლიანთ. დანარჩენი მაშველი კრეისერები 20 მილს გადიან საათში, დიდი საწყობები აქვთ ქვა ნახშირისა, მაგრამ ჯავშანი არა აკრავთ, და სანამ ესენი იაპონიის ესკადრის ბინას გაიგებენ, შეიძლება იაპონელებმა ადვილად ჩაძირონ. ადმირალ ტოგოს კი მტრის დასაზვერად ჯავშნიანი კრეისერები ჰყავს. ამას გარდა უნდა სწორედ ვსთქვათ, რომ რუსები როგორღაც დაუდევნელად იქცევიან და მაგრე რიგად არ დასდევენ მტრის დაზვერას, დაე თითონ გვეძებოსო. ჩვენ ვიცით, რომ იაპონიის გემები ინდოეთის ოკეანეში გაჩენილან; იაპონიის კრეისერები ბევრ ადგილას უნახავთ, რუსის მზვერავი კრეისერები-კი არსად. აქედანაც სჩანს, რომ რუსებს საკმაოდ არა სწამთ თავიანთ მზვერავ კრეისერების ძალა. ამ წამს იაპონიის ესკადრა კუნძულ ჩოგოსის ახლო დგას, მადაგასკარიდან 4 დღის მანძილზე და ალბად, ამ დღეებში ორის დიდის ფლოტის ბრძოლის მოწამენი შევიქნებით. ეს ბრძოლა მარტის პირველ ნახევარში უნდა მოხდეს... („რ.“).

რუსის ჯარის უკან დახევა. დეპეშებს წინანდებურად არავითარი ცნობა არ მოაქვთ სამხედრო მოქმედებაზე. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები სწრაფად მიდიან წინ იმ განზრახვით, რომ რუსის არმიას წრე შემოავლონო. სიტიაზიდან იუწყებიან, ჩინელები ამბობენ, სიპინგაიდან 40 ვერსტზე ჩრდილოეთ-დასავლეთით იაპონელების რაზმი უნახავთო; ალბად, ეს რაზმი გვერდიდან უვლის რუსის ჯარსაო. სიპინგაი რკინის გზის პირად მდებარეობს, დაახლოვებით 100 ვერსტზე ტელინიდან, ჩრდილოეთით.

„რუს“-ის კორესპონდენტი 11 მარტის თარიღით ასე აწერს რუსის ჯარის უკან დახევას: 11 მარტამდე სულ მარჯვენა ფრთის უკანა რაზმს მივსდევდი. კაიუანის ჩრდილოეთით მდებარე ხიდი ხუთ ადგილას ავაფეთქეთ; ამ დროს ხუთი სალდათი დაიჭრა. 5 მარტს საღამოთი ამ ხიდის სამხრეთით იაპონელებმა მედგარი იერიში მოიტანეს ჩვენს ჯარზე რკინის გზის პირად. ჩვენი უკანა ჯარი შედგა და იაპონელებს შეებრძოლა. ბოლოს ნელ-ნელა ჩრდილოეთისაკენ დავიხიეთ. 6, 7 და 8 მარტს უკანს ვიხევდით. მალე თვე შესრულდება, რაც ჩვენ არმიას არ დაუსვენია, ყველანი დაიქანცნენ. 10 მარტს ჩვენი ჯარი სიპინგაის სამხრეთით შედგა, მაგრამ შეებრძოლება იაპონელებს თუ არა, არ ვიცით. ამბობენ, დღეს საღამოთი იაპონელები იერიშით წამოვიდნენ საპინგაის პოზიციებზე, უმთავრესად, რკინის გზასა და ფრთებზე მდებარე პოზიციებზე. ხელახლად გავრცელდა ხმა, იაპონელთა ორი არმია რკინის გზის მოშორებით მარჯვნივა და მარცხნივ მიდის ჩრდილოეთით იმ განზრახვით, რომ ჩვენ ჯარს ხარბინის გზა მოუჭრასო.

სიპინგაი, ეტყობა, მაშინვე მიუტოვებია რუსის ჯარს, რადგან გენ. ხარკევიჩი იუწყებოდა, 13 მარტს ხანშალინთან შეტაკება მოგვიხდა იაპონელებთანაო. ხანშალინი სიპინგაის ჩრდილოეთით მდებარეობს, დაახლოვებით 20 ვერსტზე.

იმავ გაზეთს ატყობინებენ: 11 მარტს რუსის ჯარი თან და თან უკან მიდის, სადგური ჩანტაფუ შენობებით დავწვით, ხიდები სადგურ შუანმიაოზამდე დავანგრიეთ. ჩინელები ამბობენ, იაპონელები მონგოლებს ჰქირაობენ ჯარშიო, უნდათ მთელი მონგოლია ააჯანყონ რუსების წინააღმდეგაო.

პარიზიდან ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: მანჯურიაში ზოგიერთ ადგილას მდინარეებზე ყინული გალხვა და ეს გარემოება აბრკოლებს გენ. ოკუსა და ნოძუს არმიის გალაშქრებას, მით მაინც იაპონელები მხნედ მიდიან წინა და იმათი ცხენოსანი რაზმები ფეხ და ფეხ მისდევენ რუსის უკანა ჯარს. ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან, რუსის ჯარი დღეში 20 ვერსტს გადისო. გენ. ნოგის არმიის მოქმედებაზე ტოკიოდან არავითარი ცნობა არ მოდის. იუწყებიან მხოლოდ, რომ გენ. ნოგის არმია მოშორებით მოქმედებს და რუსებს არა ჰხვდებაო.

რუსის კორესპონდენტების დეპეშებიდან სჩანს, რომ გენ. ნოგის არმია რკინის გზის დასავლეთით უნდა მიდიოდეს მოშორებით.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: ქალ. გირინს დიდი მნიშვნელობა აქვს. გირინის პროვინცია ადვილად გამოჰკვებავს რუსის მთელ არმიას, მაგრამ გირინი 120 ვერსტის მანძილზე მდებარეობს რკინის გზიდან და რუსის არმიას-კი ამ ჟამად არ შეუძლიან ამ სიგძე ფრონტის დაცვაო, ამიტომ რუსის არმია იძულებული იქნება, გირინი მიატოვოსო. („ო. ნ.“).

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ გუნჩულინიდან: რუსის არმიის უკან დახევის პლანი გენერლებმა კუროპატკინმა, ლინევიჩმა, ბილდერლინგმა და კაულბარსმა შეადგინეს სამხედრო თათბირის დროსაო. („რ. ს.“).

ვლადივოსტოკი. „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: აქეთ მხარეს სანოვაგის ფასს 300-500 პროცენტი მოემატა, ზოგს 1000 პროცენტიც; კარტოფილი 1 ფუთი—90 კაპ. იყიდება, ხორცი—ფუთი 9 მ.ნ., მარილი 4 მან., სმეტანა 1 გირვანქა—1 მან., ქათამი 9 მანეთადაო.

რუსეთი ახალ ჯარსა ჰგზავნის. „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: რუსეთის მთავარ-შტაბის ცნობით, მე-4 საარმიო კორპუსს ცაცკარში დასტოვებენ რკინის გზის დასაცველად, რადგან გენ. ლინევიჩს მაშველი ჯარი მიუვიდა ვლადივოსტოკიდანა და ხარბინიდან. ამ ჟამად გენ. ლინევიჩს ვითომ 200 ათას კაცზე მეტი უნდა ჰყავდეს ბრძოლისათვის გამოსადეგი. მე-14, მე-15, მე-18, მე-19 და მე-21 საარმიო და 1-ლი და მე-2 კავკასიის კორპუსების მობილიზაციას იმნაირად მოახდენენ, რომ ყველა კორპუსის ნაწილი ძველ ბინაზე დარჩება სამსახურის ასასრულებლად. ომის ასპარეზზე ეხლავე გაიგზავნებიან მე-10 საკავალერიო დივიზია და მე-22, მე-23 და მე-27 საარტილერიო ბრიგადის ნაწილები. გვარდია ჯერ თავის ადგილას დარჩება. იმედი აქვთ, რომ შუა ზაფხულამდე მანჯურიაში 600 ათასი (?) კაცი ეყოლებათ და 4 არმიას შეადგენენ დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის უფროსობითაო. გენ. ლინევიჩსა და კუროპატკინს ორ-ორ არმიის უფროსობას ჩააბარებენო. („რ. ს.“).

რუსეთის სამხედრო საბჭომ დაადგინა, 11 ახალი ტყვიის მტყორცნელთა როტა შესდგესო. („რ. ვ.“).

რამდენი ჯარი გაგზავნა რუსეთმა მანჯურიაში. ოფიციალური სამხედრო გაზ. „რუსკი ინვალიდ“-ი აცხადებს, ომის დაწყების დღიდან 27 თებერვლამდე, რუსეთმა ომის ასპარეზზე გაგზავნა: 13,087 აფიცერი, 761,467 სალდათი, 146,408 ცხენი, 1521 ზარბაზანი და 19,524,977 ფუთი სხვა-და-სხვა ტვირთიო.

იაპონიის კრედიტი. „რუს“-ს ატყობინებენ ბერლინიდან: იაპონიის ფასიან ქაღალდების ფასს ომის დროს 15 პროცენტი მოემატაო.

„სტანდარდ“-ი სწერს: ნოემბრის ფასებთან შედარებით იაპონიის ქაღალდების ფასმა ამ ჟამად ძლიერ აიწიაო: 5 პროცენტიანი სესხი ნოემბერში 87½-ად გადიოდა, ახლა 100-ად გადის; 4 პროცენტიანი სესხი 75-ად გადიოდა, ეხლა 86 ¾-ად გადის; 1892 წლის 6 პროცენტიან სესხის ფასი 85 დან 97¼-მდე ავიდა, 1904 წლის 6 პროცენტიან სესხის ფასმა 95¼-დან 105-მდე აიწია. („პ. ვ.“).

ცოტა რამ სოფლის შესახებ

ეკონომიური განსხვავება, რომელიც არსებობს გლეხებსა და მემამულეთა შორის, არის მიზეზი იმ ჩატეხილ ხიდისა, თუ ოდესმე ეს ხიდი არსებობდა, რომლის აღდგენაც ასე საჭიროა დღევანდელ პირობებში. დიდი ნაწილი ქართლის და კახეთის გლეხობა დღესაც მოკლებულია მიწის საკუთრებას, რადგან მას არამც თუ ახალი ადგილი არ შეუძენია, არამედ ნადელებიც კი გამოუსყიდველი აქვს. სწორედ ეს არის მიზეზი იმ პირობებისა, რომელშიაც სცხოვრობს ჩვენი გლეხი.

აიღეთ გლეხ-კაცობის მოთხოვნილებანი და დარწმუნდებით, რომ ყოველ მოთხოვნილებას ეკონომიური სარჩული უდევს. დღევანდელი სასამართლო გარდა იმისა, რომ ზანტია და ხშირად უსამართლო, მეტად ძვირია. გლეხ-კაცობაც თხოულობს, მოგვეცით ნება ჩვენი საქმე ჩვენვე გავარჩიოთო. სკოლა არა ზღავს ფულს, რომელიც მაზე იხარჯება; ადმინისტრაციის მიერ დანიშნული მამასახლისები და საერო დარაჯები ძვირად უჯდება ხალხსა, და, სხვა მიზეზთა შორის, ამ ეკონომიურ მხარესაც საპატიო ადგილი უჭირავს, როცა გაბეზრებული ხალხი თხოულობს მათ გაუქმებას. ერთის სიტყვით, დღევანდელი მოძრაობა ეკონომიურს ნიადაგზედ არის აღმოცენებული და პოლიტიკური მხარე მოძრაობისა უნებლიეთი შედეგია. მხოლოდ უმთავრესი ჰანგი მოძრაობისა ერთია: გლეხ-კაცი თხოულობს თავის პიროვნების პატივის ცემას, როგორც ეკონომიურის მხრივ, ისე ზნეობრივად. გლეხ-კაცმა შეიგნო, რომ მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო, კაცობრიობა იმის ნაშრომით სცხოვრობს, რომ კაცობრიობის კულტურის დედა-ბოძი მისი მარჯვენა არის, და მას კი კაცობრიობის კეთილდღეობაში უმცირესი ადგილი უჭირავს, კულტურა იმის ცხოვრებას არ აუკეთესებს და საშინელი მძიმე უღელი არ შეუმსუბუქებია; მოითხოვა შელახულ პიროვნების კვლავ აღდგენა და პატივისცემა, და ეს ისეთი იშვიათი ისტორიული მოვლენაა, რომ ჩვენ, ქართველებმა, სიამაყით უნდა აღვნიშნოთ ეგ მოვლენა, გავარკვიოთ და პასუხიც გავსცეთ. ამას მოითხოვს შეგნებულობა.

ხალხის მოთხოვნილება სამ-გვარია: პირველი რიგი მოთხოვნილებისა წმინდა ეკონომიურია, მეორე—ზნეობრივი და მესამე ეკონომიურ-პოლიტიკური. მოთხოვნათა პირველი რიგი მიმართულია იმაზე, რომ გაასწოროს მიუტევებელი შეცდომა, რომელიც ჩაიდინა ბიუროკრატიამ გლეხების განთავისუფლების დროს და რომელიც უსათუოდ უნდა გაასწოროს დღეს ჩვენმა მემამულემ: დღემდის დროებით დამოკიდებული გლეხი, არა სრული მესაკუთრე ნადელისა, სრულ მესაკუთრედ უნდა გადაიქცეს, ისე კი, რომ თვით გლეხს ეს არაფერი დაუჯდეს. ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი გავლენა ექმნება ხალხის მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაზე და უამისოდ სხვა ყოველი ცდა უნაყოფო იქმნება. სრულს მესაკუთრედ უნდა გადაიქცნენ არა მარტო დროებით ვალდებულნი, არამედ ხიზნებიც. იგივე ითქმის ტყის და საბალახოს უფასოდ მოხმარების შესახებ.

მოთხოვნათა მეორე რიგი ეხება წოდებრიობის უპირატესობის გაუქმებას და ყველა წოდების წარმომადგენელთა გათანასწორებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სოფლები, როგორც ვიცით, დრამას იხდის გლეხ-კაცობა, თუმცა მღვდელი ისევე ემსახურება თავად-აზნაურობას, როგორც გლეხკაცობას. სოფლის ყარაულებად გამოჰყავთ მხოლოდ გლეხი, თუმცა იმავე სოფელში აზნაურს ან თავადს უფრო მეტი საყარაულო აქვს; გზის შეკეთება, ყოველ-გვარ სახელმწიფო ბეგარის გადახდა გლეხის მოვალეობას შეადგენს, თავად-აზნაურობა კი უპირატესობით სარგებლობს. ასეთი არა ნორმალური, ვიტყვით მეტსა, უცნაური მოვლენა ზნეობრივად სჩაგრავს გლეხს და, თუ აქამდის ითმენდა, დღეს პროტესტს აცხადებს. თავად-აზნაურობამ ამასაც პასუხი უნდა გასცეს.

გლეხის მესაკუთრედ გადაქცევა და წოდებრიობის გაუქმება სოფლის ცხოვრების ფარგალში—ეს ის „minimum“-ია, რომლის განხორციელება მემამულეთ შეუძლიანთ და კიდევაც უნდა შეიძლონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მესამე რიგის მოთხოვნილებათა წინ წამოყენება, რაც საერთო მოთხოვნილებას შეადგენს. თვით-მართველობა, ქართული სკოლა, ქართული ეკკლესია, ხელუხლებლობა საუკუნოებით ქართველის სისხლით მორწყულ მიწა-წყლისა, თავისუფლება პრესისა, ხელუხლებლობა პიროვნებისა და სახლისა და სხვა ამგვარი საჭიროებანი კულტურულ ზრდისათვის შეადგენენ ყველას საჭიროებას, განურჩევლად წოდებისა, და მოთხოვნილნიც უნდა იქნენ საერთო ძალით.

ამრიგად მემამულეებმა უნდა დააკმაყოფილონ ხალხი იმ მოთხოვნილებების შესახებ, რის დაკმაყოფილებაც მათ შეუძლიანთ; შემდეგ მიეკარძონ ხალხს და საერთო მოთხოვნილებანი წარადგინონ. საჭიროა მემამულეებმა გაიგონ, რომ საერთო მოთხოვნილებათა ასრულება მათის კეთილდღეობის მომასწავებელია; ვინ არ იცის, რომ უკანასკნელ დროს ჩვენი მემამულენი ეკონომიურად დაქვეითდნენ თითქმის იმნაირადვე, როგორც ყველა მიწის მომუშავე. სხვა მიზეზთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს იმ ნაკლებულებას, რომ ჩვენში საზოგადოდ ცოდნა და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ცოდნა არ არის. ცოდნის გავრცელებას დიდი დაბრკოლებანი ხვდება; დღეს-დღეობით სკოლა ჩვენში ცოდნას-კი არ ავრცელებს, პოლიტიკას ემსახურება. ხალხი გამრავლდა, მიწა გამოიფიტა და მხოლოდ ცოდნა დაიხსნის სოფელს ეკონომიურად დაცემისაგან. აი, ამისთვის არის საჭირო საერთო ძალა, საერთო მეცადინეობა. აქ გამოიჩენენ ჩვენი მემამულენი შეგნებულებას.

ვ. მუსხელიშვილი.

სოფლად

უკვე ვწერდით, რომ **ქართლიდან** ჩამოვიდა ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი ბ-ნი ვეიდენბაუმი. აი, რა უთქვამს ბ-ნ ვეიდენბაუმს რუსულ გაზეთის თანამშრომლისათვის: გლეხთა მოძრაობა დაიწყო ქართლში 13—14 მარტს. მოძრაობა ყველგან ერთსა და იმავე დროს დაიწყო, წინ-და-წინვე მოლაპარაკების შემდეგ. ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ქართველი გლეხები, არამედ მეზობელი ოსებიც. მოძრაობა უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენდა. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ გლეხობა მართლაც შევიწროვებულია. გადასახადები სახელმწიფო, სასოფლო, საერობო, საიჯარო ფული, მემამულეთა ხარკი და სხვა,—ყველა ეს მძიმე ტვირთად აწევს უამისოდაც ღარიბ გლეხობას. ახლა მოუსავლობა, სეტყვა, ცეცხლი და სხვა. ამ აზრით გლეხთა მოთხოვნილებანი არ შეიძლება სამართლიანად არ ჩავთვალოთ და არ დავაკმაყოფილოთ. რა თქმა უნდა, ეს პირველი წელიწადი არ არის, რაც გლეხობა ამ მდგომარეობაშია. მაგრამ ეხლა, სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით, გლეხთა უკმაყოფილებამ სხვა ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობამ შეაჩერა ცხოვრება, მოსწყვიტა გლეხი გუთანს და თუ ამ ხანამ დიდ-ხანს გასტანა, ცუდი შედეგი მოჰყვება გლეხთა მეურნეობისათვის. საზოგადოდ, ქართლელი გლეხები იმასვე თხოულობენ, რასაც გურულები. ზოგიერთ ყრილობაზე რვა ათას კაცამდე იკრიბებოდა. გლეხნი თხოულობენ მამასახლისების, სოფლის მოხელეების, მემამულეებისა და მღვდლების წასვლას ყრილობიდან. წეს-რიგი ყრილობებზე ყველგან საუცხოვო იყო. თვითონ გლეხები იცავდნენ წეს-რიგს...

—

გურია, 16 მარტი. გენერალი ალიხანოვი, როგორც 15 მარტის „ცნობის ფურცელში“ იყო მოხსენებული, ჩოხატაურში ჯარს აღარ გაჰყოლია. გენერალი გზიდან უკან დაბრუნდა. გუშინ ჯარითურთ დაათვალიერა ყველა ქუჩები, აგრეთვე ინახულა საქალებო სასწავლებელი, რომლის ფანჯრებიც ამ დღეებში მოსწავლე ქალებმა დაამტვრიეს. ამ სასწავლებლის მოწაფეები გუშინისთვის იყვნენ დაბარებულნი, რომ

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

საფრანგეთის ერის წარმომადგენლების მოწვევიდან დაწყებული 1790 წლის გასვლამდე რევოლიუცია სწარმოებდა თანხმობით: ძველ წესწყობილების ყველა მოწინააღმდეგე აღტაცებით მიეგება თვითმპყრობელობისა და არისტოკრატიის დაცემას; ძმობის მშვენიერი წელიწადი იყო 1790 წელიო, ამბობდნენ და მართლაც აგრე იყო; მაგრამ ისიც მართალია, რომ ძველის ნანგრევებზე გაბატონდა შეძლებული ბურჟუაზია, რომელმაც ხელში იგდო მთელი პოლიტიკური ძალა: ბურჟუაზიამ თავის თავი ერად გამოაცხადა, უღალატა ძმობის პრინციპს, რადგან ღარიბი უმრავლესობა მშრალზე დასტოვა.

ამიტომაც მოხდა, რომ ეროვნულ კრების ხმაშეწყობილება აქა-იქ დაირღვა: ხალხის ნამდვილი გულშემატკივარნი კარგად ხედავდნენ ახალ არისტოკრატიის გაბატონებას და არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. სამწუხაროდ, თვითონ მოტყუილებული ხალხი ვერ გრძნობდა სავსებით, რომ ის მართლა მოტყუილებულია, და ნახსენები გულშემატკივარნი უფრო უჯარო გენერლები იყვნენ. მაგრამ კამილ დემულენსა და ლუსტოლას თანდათან მხარში უდგებოდნენ ახალი მებრძოლნი. „მე რესპუბლიკელი ვარ და მეფეების წინააღმდეგ ვსწერ; მეფე დაბადებითვე მტერია თავისუფლებისა“-ო, სწერდა დემულენის ერთი თანამოაზრე. მალე გაზეთიც გაუჩნდათ რესპუბლიკელებს; ეს გაზეთი აშკარად, პირდაპირ ქადაგებდა რესპუბლიკის უპირატესობას მეფობის წინაშე: „... ჩვენს ხსოვნასა და კონსტიტუციაში სახელიც-კი არ უნდა იყოს მეფისა; და თუ შევირჩინეთ, არ გვგონია, რომ ორი წელიწადი ვიქნეთ თავისუფალი“-ო.

გაზეთი ვრცელდებოდა და ავრცელებდა თავის მიმართულებას; სხვა-და-სხვა ჯგუფიდან თანაგრძნობის წერილები მოსდიოდა რედაქციას.

1790 წლის დასასრულს საფრანგეთში უკვე იყო პატარა პარტია რესპუბლიკელებისა, მაგრამ ეს პარტია შესდგებოდა არა ნამდვილ ხალხის შვილებისაგან: აქ იყვნენ განათლებული პირები ბურჟუაზიის და არისტოკრატიის ინტელიგენციის წრეებიდან. პარტია მაინც არსებობდა უკვე ეროვნულის მიმართულებით; იგი ლაპარაკობდა და სხვებსაც ალაპარაკებდა თავის თავზე.

თუ რესპუბლიკური მიმართულება იყო ამ დროს, სოციალისტურიც იყო, თუმცა უფრო ნაკლებად გამორკვეული: ეკონომიური უპირატესობა შეძლებულებისა ჯერ არ იწვევდა მწვავე გრძნობებს. რადგან უკვე მომხდარ ცვლილებით გლეხები კმაყოფილი იყვნენ და არც მრეწველობა ყოფილა ისე განვითარებული, რომ მუშათა საქმე გამწვავებული ყოფილიყო.

მიუხედავათ იმისა, როცა ბურჟუაზია პოლიტიკურად გაბატონდა, აქა-იქ გაისმა პროტესტი ეკონომიურ უპირატესობის წინააღმდეგ: 1791 წლის დასაწყისში დემოკრატებ შორის ვხედავთ სოციალისტებსაც.

ეროვნულმა კრებამ მოსპო მაიორატი: უფროს შვილს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა უმცროსებთან შედარებით, ყველას თანასწორი წილი ჰქონდა მემკვიდრეობაში. ამის გამო სწერდა მღვდელი გურნანი, პირველი სოციალისტთაგანი რევოლიუციის დროისა: „...ეროვნული კრება შეეხო მდიდრების საკუთრებას—დაადგინა, რომ შვილებს თანასწორი წილი უნდა ჰქონდეთ მემკვიდრეობაშიო. ეხლა უნდა შეეხონ ღარიბების საკუთრებას და თანასწორი წილი დაუდონ ყოველ მემამულის შვილს: მემამულის შვილებიც ხომ ძმები არიან, ერთის ოჯახის შვილნი, თანასწორი მონაწილენი საერთო მემკვიდრეობისა.“ გურნანის აზრით, ადგილმამულის განაწილებამდე მესამედი მთელი გასაყოფ ტერიტორიისა უნდა გამოიყოს სათადარიგო მიწებად, რომ ყოველ ახალ მამულიშვილს დაბადებისთანავე მიეზომოს კუთვნილი რაოდენობა ადგილისა, ისე როგორც ყოველ მამულიშვილის სიკვდილის შემდეგ მიწა უბრუნდება სათადარიგო თანხას. მიწაზე დაწესებული იქნება სახელმწიფოსაგან დაწესებული გადასახადი, რომელიც საკმარისი იქნება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად; შეიძლება გაქირავდეს მიწა ან იჯარით გაიცეს, მაგრამ არც გაყიდვა არც მემკვიდრეობითი გადაცემა არ შეიძლება; სამაგიეროთ, მოძრავი ქონება ისევ დარჩება კერძო საკუთრების საგნად.

სოციალისტი იყო მეორე მღვდელი კლოდ ფოშეც და ზოგი სხვაც, მაგრამ დემოკრატიის მეთაურები წინააღმდეგი იყვნენ სოციალიზმისა, მათ შორის რობესპიერიც; ამ დროს სოციალისტებს უყურებდნენ როგორც უცნაურ ოცნების ხალხს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ერთის წლის განმავლობაში ბიუროკრატიის გაბატონებიდან უკვე გაჩნდა ასეთი უკმაყოფილო ელემენტი, რომელიც მიმხვდარი იყო, რომ ბურჟუაზიის მიერ შექმნილ პოლიტიკურ უპირატესობის ნიადაგი ეკონომიური, ქონებრივი უპირატესობა იყო და რომელიც სწორედ ამ ქონებრივ უპირატესობის მოსპობას იყო მოწადინებული.

ამ დროს გაჩნდნენ საფრანგეთში ეგრედ წოდებული ფემინისტებიც, ე. ი. ქალთა და კაცთა გათანასწორების მომხრენი: ქალსაც იგივე უფლებანი უნდა მიენიჭოს, რაც კაცს აქვსო, ამტკიცებდნენ ესენი და მთავარი მიზეზი ასეთ შეხედულების გავრცელებისა თვით ქალების მოქმედება იყო: ამათ იმ თავითვე დიდი წილი უდევთ რევოლიუციის საქმეში, დიდი სამსახური გაუწიეს განთავისუფლებას; სიტყვით „თუ საქმით ქალი თავგამოდებული იყო რევოლიუციისათვის და მართლაც დიდი უსამართლობა იქნებოდა თანამედროვეთაგან, რომ ასეთი ღვაწლი არ დაეფასებიათ და არ მოენდომებიათ მისი დაჯილდოება. მართალია, დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ფემინიზმისა, მაგრამ ბევრი შესანიშნავი პირი გულწრფელად თხოულობდა ქალების სრულუფლებიანობას.

ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე დემოკრატები, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, პირველ ხანებში თითქმის უჯარო გენერლები იყვნენ, რადგან თვით ხალხი ვერ მიმხვდარიყო სავსებით, რა უსამართლობა მოაყენა მას ბურჟუაზიამ. ხალხის გასათვითცნობიერებლად გარდა წერისა დემოკრატებმა მიჰმართეს აქტიურ სიტყვიერ პროპაგანდას: დაარსეს „სახალხო ან ძმური საზოგადოებანი“, იკრიბებოდნენ დანიშნულ ადგილას და ხალხს გონებას უვითარებდნენ თანამედროვე მოვლენათა ახსნით და დაფასებით. რადგან მშრომელს თავისუფალი დრო ცოტა აქვს, კრებები იმართებოდა მეტ წილად კვირა დღეებში. შეგნებული მამულიშვილნი უკითხავდნენ ხალხს დეკლარაციას, უხსნიდნენ თითეულ მუხლს და აჩვევდნენ მას იმ აზრს, რომ ღარიბსაც იგივე პოლიტიკური უფლებანი უნდა ჰქონდეს, როგორიც მდიდარს, რომ აუცილებელია შემოღებულ იქნას საყოველთაო საარჩევნო უფლება.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმის სული და გული ქალები იყვნენ, უფრო თავდადებით ესენი სცდილობდნენ ასეთ საზოგადოებათა გავლენის გავრცელებას და ამ გზით ხალხის გამოფხიზლებას.

ამ საზოგადოებათა ქადაგებას და ენერგიულ მოქმედებას უნდა მიეწეროს, რომ ბურჟუაზიის გაბატონების წინააღმდეგ მოძრაობამ უფრო და უფრო მიიღო ნამდვილი სახალხო მოძრაობის ხასიათი და ამ მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი რობესპიერი შეიქნა. 1791 წლის აპრილში რობესპიერმა დაბეჭდა სიტყვა, რომელშიაც კატეგორიულად თხოულობდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. შესანიშნავი სიტყვაა ეს სიტყვა და დიდი მნიშვნელობაც მოიპოვა მან დემოკრატიის გაძლიერების საქმეში. რას ამტკიცებდა რობესპიერი?

ბურჟუაზიულ წესწყობილების მომხრენი იმ აზრის იყვნენ, რომ ვისაც არაფერი არა აქვს, ის ვერც მამულიშვილი იქნება, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს სოციალურ წესწყობილებისა და კანონების დაცვაში და მაშასადამე არც მამულიშვილის უფლებანი უნდა ჰქონდესო. ამათ რობესპიერი უმტკიცებდა, რომ ღარიბიც მესაკუთრეა თუნდა თავის უშნო და დაგლეჯილ ტანისამოსისა, რომ მისთვისაც ძვირფასია პირადი თავისუფლება და სიცოცხლე, რომელთაც კანონები მფარველობს, და რომ, მაშასადამე, ისიც დაინტერესებულია ამ კანონების დაცვის საქმეში. ღარიბიც ნამდვილი მამულიშვილია და ეროვნულმა კრებამ-კი პოლიტიკურ უფლებების მხრივ ერის მოღალატეს გაუთანასწორა: მართლაც, ღალატისთვის იყო დანიშნული სასჯელად აქტიურ მამულიშვილის უფლებათა წართმევა; ასეთ უფლება-ახდილსაც-კი იმედი ჰქონდა, ერთ დროს ყველაფერი ეპატიებოდა, თუ სამშობლოს რამე თვალსაჩინო სამსახურს გაუწევდა. პატიოსანი ღარიბი მამულიშვილი-კი, მხსნელი „რევოლიუციისა, ასეთ დამნაშავეზე დაბლა დააყენა ეროვნულმა კრებამ. მერე ეს ღარიბი ხალხი ცუდის თვისების პატრონი მაინც იყოს!„... ხალხზე უფრო სამართლიანი კეთილი არავინ არის, თუ, რასაკვირველია, უკიდურესს დაჩაგვრით არ არის გაბოროტებული; იგი დიდათ აფასებს სულ უბრალო ყურადღებას, უმცირესს სიკეთეს;

სწავლა დაწყებულიყო, მაგრამ სკოლაში ოთხი მოწაფე პატარა ქალის მეტი არ გამოცხადდა. საზოგადოდ, ოზურგეთში და აგრეთვე ყველგან გურიაში ერთობ სიწყნარეა. აქა-იქ ვაჭრებს ბედმა გაუღიმა. ადმინისტრაციამ იმატა და ქალაქს იდუმალი გამოცოცხლება დაეტყო. თუმცა რაღაც ნაძალადეობა ეტყობა ამ გამოცოცხლებას.

სან.

—

სოფ. პატარძეული (გარედ კახეთი). მარტის 17 პატარძეულის მცხოვრებნი მივიდნენ სოფლის მასწავლებელთან და მშვიდობიანად დაითხოვეს. მასწავლებელი რუსია და ქართული სრულიად არ იცის.

—

სოფ. საგარეჯო (გარედ კახეთი). ამ უკანასკნელ დღეებში აქ არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. 15 მარტს მოიყარა თავი ორმოცამდე კაცმა და გადასწყვიტა წასულიყო ალინჯის ტყეში და გაეკაფა. ეს ტყე სოფელს მოზომილი ჰქონია მინდვრის ნაწილად, მერე-კი ჩამოურთმევიათ. ხალხი გაემართა წალდებით ტყისკენ. მათ ფეხდაფეხ დაედევნენ ბოქაული და ტყის გამგე საერობო დარაჯებით. ხალხი ჯერ შესდგომოდა ტყის კაფვას, მაგრამ მერე, სიცოტავისა გამო, წინააღმდეგობა ვერ გაებედნა. იმავ საღამოს ბოქაული დარაჯებით წავიდა სართიჭალის. ხალხმა მოიყარა თავი და გადასწყვიტა, ხვალ უსათუოდ კიდევ უნდა წავიდეთ ტყეშიო. მეორე დღეს მოიყარა თავი 700—800-მა კაცმა და გაემართა ტყისკენ. თან წაიყვანეს დილიჯნით ორიოდე ბობოლა კაცი და სოფლის მწერალი. ჩავიდნენ ტყეში და დაუწყეს კაფვა. დილიჯანი უკან გამოგზავნეს ცარიელი. შუა დღის დროს არა საიმედო კაცები და მწერალი გამოგზავნეს შინ ფეხით და მერე თვითონაც დაენებებინათ თავი ტყისთვის, დაეჭირათ ხელში კეტები, ბაირაღით სოფელში ამოვიდნენ, მივიდნენ სასოფლო სკოლაში, დაითხოვეს მშვიდათ ორი რუსი და ერთი ქართველი მასწავლებელი. ხალხი ამბობდა, არ გვინდა რუსული სკოლა, ქართულათ ასწავლეთ ჩვენ ბალღებსაო. აქედან მივიდნენ სამრევლო სკოლაში და აქაც ისევე მოიქცნენ. აფთიაქშიაც იყვნენ. მერე გლეხები აქციზის მოხელეებთან მივიდნენ და მშვიდად დათხოვნას უპირებდნენ; მაგრამ შინ არ დაუხვდნენ. მეორე დღეს სოფ. გიორგი-წმინდის მცხოვრებთაც დაუთხოვნიათ მასწავლებელი, საგარეჯოდან მასწავლებლები ტფილისს წამოვიდნენ. ხალხი დაწყნარდა და იცდის.

ჯანრაე.

ახალი ამბავი

◆ როგორც „სლოვო“ გადმოგვცემს, კავკასიის **სამოქალაქო** ნაწილის გამგედ ინიშნება სამეფო კარის სმინისტროს საბჭოს წევრი ვ. ს. კრივენკო.

◆ კავკასიის **მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიწერილობა დაუგზავნა** გუბერნატორებს. მოწერილობაში ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ეკლესიებისა და მონასტრების ძარცვა-კლეჯაო. უმაღლეს სასულიერო მთავრობის თხოვნისამებრ, მთავარ-მართებელი წინადადებას აძლევს გუბერნატორებს, ყოველივე საშუალება იხმაროს, რომ ეკლესიები და მათ სიწმინდენი დაცულ იქმნენ. ამასთან მთავარ-მართებელი უმარტავს გუბერნატორებს, რომ ეკლესიების მფარველობა, არსებულ კანონების ძალით, ევალებათ ადგილობრივ მრევლთ. ფული ეკლესიის დარაჯებისათვის სოფელმა უნდა გადაიხადოსო.

◆ გუშინ უკვე ვწერდით, რომ გუბერნატორმა ნება დართო მოწვეულ იქნას გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება**. კრება დაინიშნა 31 მარტისთვის და არა 26-სთვის, როგორც გუშინ ვწერდით. კრებამ უნდა შეადგინოს უქვეშევრდომილესი ადრესი და განიხილოს ის საკითხები, რომელიც გლეხთა მოძრაობამ გამოიწვია.

◆ **კავკასიელ მაჰმადიანებს** განუზრახავთ თავიანთ საჭიროებათა შესახებ განსაკუთრებულ პეტიციის მირთმევა მთავრობისათვის. როგორც „კას.“ გადმოგვცემს, 15 მარტს ბაქოში, ზეინალ-აბდინ თაგიევის სახლში, თათბირი ჰქონიათ მაჰმადიანთა წარმომადგენლებს. კრებას საჭიროდ უცვნია ასეთ პეტიციის გაგზავნა. ამას გარდა გადაუწყვეტიათ მაჰმადიანთა სახელით შუამდგომლობა აღძრან, რომ კავკასიის წარმომადგენელთ შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის უფლება მიეცეთ. ამ შუამდგომლობის აღსაძვრელად და პეტიციის მისართმევად კრებას საჭიროდ უცვნია მაჰმადიანთა განსაკუთრებულ დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგში. კრებამ დაადგინა, გაჰგზავნოს კავკასიის ყველა ქალაქში, სადაც კი მაჰმადიანნი სცხოვრობენ, დეპეშა და სთხოვოს აარჩიონ პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტატები. ეს დეპუტატები ბაქოში შეიკრიბებიან და შემდეგ ყველანი ერთად პეტერბურგს წავლენ. მაჰმადიანთა დეპუტატები უნდა აარჩიონ შემდეგ ქალაქების მაჰმადიანებმა: ბაქოს, ლენქორანის, ყუბის, შემახის, გეოქჩაის, სალიანის, განჯის, შუშის, ყაზახის, ტფილისის, ერევნის, ნახიჩევანის, დარუბანდის, თემირ-ხან-შურის და კავკავისა. ბაქოს თავის წარმომადგენლებად უკვე აურჩევია: ფარუხ-ბეგ ვეზიროვი, ალი-მარდან-ბეგ ტოპჩიბაშევი, ახმედ-ბეგ აგაევი, შამსი და ასადულაევი, ქერიმ ალა ალიევი სადიხოვი.

◆ ტფ. გუბერნატორმა უბრძანა მომრიგებელ შუამავლებს, დიდი ყურადღება მიაქციონ **გლეხთა მოძრაობებს**, დაუყოვნებლივ წავიდნენ ხოლმე იქ, სადაც მოძრაობაა, და მიიღონ ზომები გლეხთა დასაწყნარებლად.

◆ 16 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის მე-6 და მე-7 ნაწილის **მუშებმა თავიანთ ინჟენრებს** მოსთხოვეს სამუშაო საათების დაკლება და თვიური ფასის მომატება. ზოგიერთ მუშებს უთქვამთ, თუ ამას არ აგვისრულებთ, 20 მარტს მუშაობაზე ხელს ავიღებთო.

◆ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ 155,000 მანეთი გადასდო ამიერ-კავკასიის რკინის გზის **მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად**. ეს ფული მოსამსახურეებს აღდგომისათვის დაურიგდებათ.

◆ სომხთა მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატორობით, ხვალ, 20 მარტს, ვანქის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი ამას წინად გარდაცვლილ **სომეხთა მოღვაწის მიქელიანის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

◆ 13 მარტს ლეჩხუმში **მოუკლავთ ბოქაული** მახარაძე. მკვლელნი ვერ აღმოუჩენიათ.

◆ როგორც გუშინ ვწერდით, **ქუთაისში 15 მარტს გაძარცვეს** ადგილობრივ სადგურის უფროსი ქიდკოვი. ქიდკოვისათვის წაურთმევიათ არა 2839 მანეთი, როგორც ვწერდით, არამედ 6474 მან. 44 კაპ.

◆ დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ 16 მარტს **ბაქოში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი თავ. სიმონ მიქელაძე** და პოლიციელი ეფიმუშკინი. „კას.“-ს სიტყვით, დილა ადრიან ესენი ეტლით მიდიოდნენ თურმე. ქუჩაში ხუთი კაცი მდგარა. როდესაც ეტლი მიახლოვებულა, ეს კაცები მიჰვარდნიან ეტლს და სროლა დაუწყიათ. ორივე იქვე მოუკლავთ. ამათ გარდა ერთი კაცი მძიმედ დაჭრილა.

◆ ფუნიკულერის საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს, გაიყვანოს **ელექტრონის ტრამვაი** ერევნის მოედნიდან ფუნიკულერის ქვემო სადგურამდე. ქალაქის გამგეობამ 17 მარტს დაადგინა, მოსთხოვოს საზოგადოებას განზრახულ გზის პროექტი.

◆ **მუკდენის ბრძოლის დროს**, როგორ „ინვალიდ“-შია გამოცხადებული, დაჭრილან: პოლკოვნიკი თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძე მაყაშვილი, შტაბს-კაპიტანი თავ. დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჯანდიერი, პორუჩიკი ალექსანდრე ესტატეს ძე იოსელიანი; უკვალოდ დაიკარგა პოდპორუჩიკი თავ. ალექსანდრე ვლადიმირეს ძე გედევანიშვილი.

◆ **დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა** წინამძღოლად თავ. ყაზბეგის ნაცვლად, რომელმაც თანამდებობას თავი დაანება, დაინიშნა ყოფილი მაზრის-უფროსი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.

◆ 15 მარტს ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა მოქალაქეების ახლად არჩეულ რწმუნებულთა სია. მომავალს კვირაში რწმუნებულნი შეუდგებიან მოხელე პირთა არჩევნებს.

◆ გუშინ, 18 მარტს, ტფილისიდან დუშეთს წავიდა ოლქის სასამართლოს სესია. სესიის სხდომები დაიწყება დღეს, 19 მარტს, და გაგრძელდება 29 მარტამდე.

◆ ხუთშაბათს, 17 მარტს, ტფილისის საპროფესიონალო საქალებო სასწავლებლის მოსწავლეებმა, საღამოს 6 საათზე, მოიყარეს თავი და თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს სასწავლებლის გამგეობას. მოვიდა თვით ქალაქის მოურავი ვერმიშევიც და მასაც იგივე განუცხადეს, რაც სკოლის გამგეობას. მოწაფე ქალებმა, სხვათა შორის, ითხოვეს სასწავლებლის გამგე ქალის დათხოვნა. სასწავლებელს აურებელი ხალხი და მოწაფეები შემოეხვია, რომელიც პოლიციამ დაშალა.

◆ 17 და 18 მარტს, ნაშუაღამევის 1 საათზე თამამშევის ქარვასლის პირდაპირ, პუშკინის ქუჩაზე, ვიღაცებმა გაძარცვეს თავ. ბეგთაბეგოვის სახლში მცხოვრები აფთიაქის მაღაზიის პატრონი ალექსი როსტომოვი. ა. როსტომოვი იჯდა და ვახშმობდა. ამ დროს კარი შეაღო ორმა უცნობმა კაცმა. ერთი იყო ნიღბჩამოფარებული. ეს კაცი ამოღებულ დანითა და რევოლვერით დაადგა თავზე როსტომოვს, ხმა არ ამოიღოო. მეორე მივიდა ჯიბეების საჩხრეკად, ჟილეტის ჯიბიდან უცნობმა ამოაცალა 25 მან., ხოლო პიჯაკის ჯიბიდან—60 მან. შემდეგ მოსთხოვა კამოდის გასაღები. უცნობი მივიდა, გააღო კამოდი და იქიდან ამოიღო 400 მან. ოქროსა და 33 ვერცხლის ფული. შემდეგ ააცალეს საათი 15 მან. ღირებული, ფარანი „მუსიკა“ 40 მან. ღირებული, ბეჭედი და სხვა ნივთები. ბოროტ-განმზრახველებს იმას შიშით, რომ ისინი პოლიციას არ ჩავარდნოდნენ ხელში, აუღიათ თოკები და მით შეუკოჭავთ ხელფეხი როსტომოვისა და მის მსახურის ელისაბედ გადიანისათვის და ასე დაუტოვებიათ სახლში; შემდეგ თავისუფლად გასულან ქუჩაში და გადამალულან. ქურდებს წაუღიათ სულ ფულად და ნივთებათ 592 მან 50 კაპ.

◆ 17 მარტს ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში გადაპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველები, რომელთაც გამოუნგრევიათ ალექსანდრეს ბაღიდან კედელი მიასნიკოვის მაღაზიის სადგომისა და შესულან შიგ. ქურდებს მოუხვეკიათ ფული თუ რამ იყო, აგრეთვე საქონელი და სხვა ნივთები და გაპარულან. ვინაობა ქურდებისა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ. შანიჯის მამასახლისის მამულში შეცვივნულან ვიღაც უცნობი პირები გაუკაფავთ 1230 ვაზი 60 ძირი ხეხილი, და სკების შენობა გადაუწვავთ. გამწვარ სულ 23 ძირი ფუტკრის სკა სავსე თაფლით. ზარალი დიდია.

◆ როგორც ტფილისის მაზრის სოფელ გეორგი წმინდიდან გვატყობინებენ, 14 მარტს ღამე წისქვილში ხანჯალ ამოღებული შევარდნილა წულანლოს მცხოვრები ისლამან ნაბი-ოღლი, რომელსაც მეწისქვილის ილია ხაბარაშვილის გაცარცვა სდომებია. ხაბარაშვილს დაუჭრია ნაბი-ოღლი.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში მცხოვრების კლიმენტი ნატალენკოსთვის 17 მარტს ვიღაცას მოუპარავს 200 მანეთის ნივთები.

◆ როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, იქ წითელა გაჩენილა.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, იქ ქუნთრუშა გაჩენილა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. გენერალ-გუბერნატორი თ. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანი ქ. ოზურგეთში გაემგზავრა.

ტფილისის ქუჩაზე მეორედ დაეცნენ შეიარაღებულნი სადგურის უფროსს, წაართვეს ექვსი ათასი მანეთი სახელმწიფო ფული და მიიმალნენ.

ტფილისის ქალაქის საქმეები

17 მარტი.

ამ დღეს საბჭოში მოწყენილობა იყო. არც ხალხი დასწრებია ჩვეულებრივ. კრება გვიან დაიწყო და ადრე გათავდა. როგორც აღვნიშნეთ, ინჟენერმა ახუნდოვმა, რომელიც საბჭომ აირჩია დეპუტატად, უარი განაცხადა. ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა მაჰმადიანებს დაესახელებინათ კანდიდატი. მათ დაუსახელებიათ პოდპოლკოვნიკი იბრაგიმ ბეკ ველილოვი, რომელიც საბჭომ აარჩია.

საბჭომ ამის შემდეგ განიხილა მოხსენება სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების მმართველ საზოგადოებისა. საქმე შეეხება ტფილისში სახალხო განათლების რიგიანად მოწყობას. საზოგადოება თავის მოხსენებაში სწერს: ბაქოში სისხლის ღვრამ 6—9 თებერვალს მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა კავკასიის შეგნებულ მცხოვრებლებზე. ამ სისხლის ღვრამ გამოააშკარავა, გონებით რა დაბლა სდგას მშრომელთა უმრავლესობა. სახალხო კითხვათა საზოგადოება, რომელიც კარგად იცნობს ხალხს, გულწრფელად აღიარებს, რომ ბაქოში მომხდარ ამბების სათავე, ნიადაგი უმთავრესად უნდა ვეძებოთ კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხის უმეცრებასა და გონებით სიბნელეში. ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი მოდის: რუსებით დასახლებულ ადგილებში 3600 მცხოვრებელზე, 4300 ქართველებზე, 5400 სომხებზე, 17,300 თათრებზე და 11,400 მთიულებზე. კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობის კულტურულად ჩამორჩენა ნიადაგს ამზადებს ხალხთა შორის განხეთქილებისას და ამავე დროს ხელს უწყობს ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად და უფლებრივად განუვითარებლობასა და ჩამორჩენას. ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას კიდევ უფრო მტკიცედ შეუძლიან შეირჩინოს თავისი სიძლიერე თუ ხალხის მდგომარეობა დამოკიდებული იქმნა ბიუროკრატიის პაე კისაგანო. საზოგადოება თხოულობს [illegible] ნება დართულ იქნეს სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების გამართვა თავისუფლად და ყველა ადგილობრივ ენებზე; 2. დაუბრკოლებრივ გაიხსნას სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საკვირაო სკოლები, წიგნების საწყობები, მაღაზიები და საზოგადოებანი სახალხო კითხვათა მოსაწყობად; 3. ნება დართულ იქნას სამკითხველოებში სახმარებლად საზოგადო ცენზურის მიერ ნება დართული გამოცემანი; 4. შეტანილ იქნა სახალხო წარმოდგენების რეპერტუარში ყველა ის დრამატიული თხზულება, რომელიც ნება დართულია დრამატიულ ცენზურისაგან; 5. ნება მიეცეს სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების საბჭოებს შეიმუშაონ საკვირაო სკოლათა და საღამოს კურსების პროგრამები. სახალხო კითხვათა საზოგადოებამ ითხოვა აგრეთვე, ითავოს ტფილისის ქალაქის საბჭომ, რომ კავკასიაში შემოღებულ იქნეს საყოველთაო და უფასო სწავლა. ამ უკანასკნელ წინადადების შესახებ ხმ. დოლუხანოვმა აღნიშნა, რომ საყოველთაო უფასო სწავლის შემოღების შესახებ მოხსენებას ამ საკითხის ინიციატორი ხმ. მიხეილ ყიფიანი ადგენს და ამის შესახებ შემდეგ გვექნება მსჯელობაო. საბჭომ მიიღო შეუცვლელად საზოგადოების წინადადებანი და დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია ქალაქის მოურავის მოხსენებამ. იგი შეეხება გაზით განათების გაცემას. ეს მგონი მეოთხედ იყო შეტანილი ეს საკითხი საბჭოში და არა ეშველა რა მის დასრულებას. როგორც ვწერდით, ქალაქი და თავ. ჩოლოყაშვილი შეთანხმდნენ კიდეცა ქალაქმა ნება დართო ჩოლოყაშვილს შეუდგეს გაზის ქარხნის გამართვას. საბოლოოდ საკითხის გადადება გამოიწვია ზოგიერთების მიერ აღძრულმა მოხსენებამ ხელშეკრულების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ. ამ საღამოს ქალაქის მოურავმა სულ ახალი წინადადება შეიტანა. ვერმიშევი ურჩევდა საბჭოს სიფრთხილით მოჰკიდებოდა ამ საქმის გაცემას. ქალაქის მოურავმა მოითხოვა: 1. გაუქმებულ იქნას საბჭოს წინანდელი დადგენილება აღნიშნულ საქმის შესახებ და 2. მოიწვიოს გამოცდილი დახელოვნებული პირი, რომელმაც ქალაქის წინადადებით შეიმუშაოს საჭირო პროექტი გაზის ქარხნისა. ბოლოს საბჭომ მიიღო მეორე წინადადება ქალაქის მოურავისა, გადასდო 5000 მანეთამდე პროექტის შესადგენად და 4 თვის ვადა დანიშნა.

რუსეთის ქრონიკა

ბულიგინის კომისიაში, როგორც „ნოვოსტი“-ს შეუტყვია, მიწვეული იქნებიან მხოლოდ 34 საერობო გუბერნიის წარმომადგენელნი; რუსეთის დანარჩენ გუბერნიებიდან და ოლქებიდან ამ კომისიაში არავინ იქნება.

მუშების გაფიცვა პეტერბურგში. 9 მარტს სპასისა და პეტროვის ჩითეულობის და საფეიქროების მუშებმა მოითხოვეს ქირის მომატება და დათხოვნილ მუშების ისევ მიღება. რადგან ეს მოთხოვნანი არ დააკმაყოფილეს, მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. 10 მარტს მივიდნენ ქარხანაში და [illegible] განაცხადეს თავიანთი მოთხოვნები. ქარხნის ადმინისტრაციამ ეხლაც უა[illegible] რა, მუშები დიდის უკმაყოფილე[illegible] დნენ ქარხნიდან; ზოგმა რამდენ[illegible] გააფუჭა და მაშინვე ჯარებ[illegible] ქარხანა დაკეტილია და მუშები დათხოვნილი.

იმავ 10 მარტს გაფიცულან ალექსანდრეს მექანიკურ ქარხნის მუშები და ქარხანა დაკეტილია. („რ. ვ.“).

იურიდიულ საზოგადოების სხდომა პეტერბურგში. 11 მარტს ტენიშევის სასწავლებლის ზალაში შესდგა კრება იურიდიულ საზოგადოებისა. კრება დაიწყო გესსენის სიტყვით: ორი დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი დღეს რუსეთის საზოგადოებას —ძველ რეჟიმის ბორკილის მოშორება და

ამისთვისაც-კი მადლობელია, თუ ცუდს რასმე არ უშვრები; მართალია, გარეგნობა მოუხეშავი აქვს, მაგრამ სამაგიეროთ გული წმინდა აქვს, გონება მიმხვედრი და ისეთი სიმტკიცე, რომლის მსგავსს ვერ იპოვნით მაღალ კლასებში, ხალხი მხოლოდ იმას თხოულობს, რაც მისთვის აუცილებელია, თხოულობს სამართლიანობას და მშვიდობიანობას. მდიდრები-კი მოწადინებული არიან ყველაფერი ხელში იგდონ, გაბატონდნენ. უსამართლობა მდიდრების საქმე და სამეფოა... ხალხის ინტერესი საერთო ინტერესია, მდიდრების-კი —კერძო...“

რობესპიერის ამ სიტყვის დაბეჭდვის შემდეგ დიდი აგიტაცია გაიმართა და პეტიცია პეტიციაზე მოსდიოდა ეროვნულ კრებას—ნუ დაარღვევთ თქვენგან მიღებულ დეკლარაციას, მიეცით თანასწორი პოლიტიკური უფლებანი ყველას განურჩევლად ქონებისაო.

„სამშობლოს მამანო, ეწერა ერთ პეტიციაში. მონები არიან ისინი, ვინც ემორჩილებიან მათგან არ შექმნილ ან არ მოწონებულ კანონებს. თქვენ თვითონ გამოაცხადეთ, რომ კანონი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო ნების გამოხატვაო, და ერის უმრავლესობა-კი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებას. თუ არ დაინიშნავთ დღეს, როცა მთელი ერი შეიქმნება კანონის შემქმნელი, თუ არ მოსპობთ ასეთ უსამართლო გაყოფას ერისას... სამშობლო საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. 1789 წელს 14 ივლისს (ბასტილიის აღების დღე) პარიზში იყო 300 ათასი შეიარაღებული კაცი; აქტიურ მამულისშვილთა რიცხვი კი 80 ათასამდეა. შეადარეთ ეს ორი რიცხვი და თვითონ განსაჯეთ“.

მიუხედავად ყველა ამისა დემოკრატიული პარტია 1791 წლის ივნისამდე უმცირესობას შეადგენდა პარიზშიაც კი. ამ უმცირესობაში რესპუბლიკელები სულ მცირე ნაწილს შეადგენდნენ, და შესაძლებელია ეს კარგა ხანს დარჩენილიყო აგრე, რომ დემოკრატიულ და რესპუბლიკურ მოძრაობისათვის ხელი არ შეეწყოთ თვით მეფეს, ძველ წეს-წყობილების მომხრეებს და ევროპის გვირგვინოსნებს, რომელნიც შიშით და ძრწოლით შესცქეროდნენ საფრანგეთის ერის განთავისუფლებას ძველ მეფობის აუტანელ უღლისაგან.

საზღვარ-გარედ გაქცეული არისტოკრატები ინტრიგების ქსელს აბამდნენ, სადაც კი შეეძლებოდა, თხოულობდნენ დახმარებას ევროპის სახელმწიფოთა მთავრობისაგან. ამავე დროს მეფის მთავრობა თან და თან სტოვებდა პარიზს და მიდიოდა მათთვის უფრო საიმედო ადგილებზე. ხალხი ეჭვმა შეიპყრო: მას ესმოდა არისტოკრატების ცდის ამბავი, ხედავდა მეფის ნათესავების წასვლას და ეშინოდა თვითონ მეფეც ღალატობით არ წასულიყო ხალხის მისამხრობად. ეს შიში გადაედო ეროვნულ კრებასაც, რომელმაც შემდეგი დადგენილება მოახდინა: „მეფე, პირველი მოხელე სახელმწიფოსი, აგრეთვე დედოფალი და ტახტის მემკვიდრეც ოც-და-ათ ვერსტზე მეტს ვერ მოშორდებიან იმ ადგილს, სადაც ეროვნულ კრებას აქვს სხდომები; როცა სხდომები არ არის, ყველგან შეუძლიანთ ყოფნა მთელ საფრანგეთში. თუ მეფე საფრანგეთიდან გავიდა და საკანონმდებლო დაწესებულების მოწვევის შემდეგ არ დაბრუნდა თავის ადგილს, მეფობაზე უარს ამბობს საბოლოოდ“.

ხალხის თვალში კიდევ ბევრი თავისუფლება დატოვებს მეფეს და როცა ამ უკანასკნელმა პარიზიდან სენ-კლუში მოინდომა წასვლა, ხალხი აღელდა და არ გაუშვა—მეფე ნამდვილ ტყვედ გადაიქცა.

არისტოკრატების ინტრიგებმა და ევროპის გვირგვინოსნების მტრობამ უფრო გაძლიერებული დემოკრატიული მოძრაობა შექმნა საფრანგეთში. მაგრამ ეს მოძრაობა ერთგვარი არ არის; აქაც სხვა-და-სხვა მიმართულებაა, რამაც შემდეგ დემოკრატიულ პარტიის განაწილება გამოიწვია.

რობესპიერი ადგა მხოლოდ შინაურ პოლიტიკას, შედარებით ზომიერს და შორს ვერ გამჭვრეტს. უმრავლესობა უფრო გაბედულ და ვრცელ პროგრამას გზას დაადგა: ამ მიმართულების წარმომადგენელთ კარგად ესმოდათ, რომ თუ ევროპის გვირგვინოსნებმა განიზრახეს შეერთება საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, რევოლიუციაც შესაფერ გზას უნდა დადგომოდა—განთავისუფლების აზრები გავრცელებინა ევროპის ხალხებში და გვირგვინოსნების კავშირის წინააღმდეგ ხალხების კავშირი დაეყენებინა. რევოლიუციის საქმე მარტო ფრანგების განთავისუფლება კი არ იყო ამ დემოკრატების თვალში, არამედ მთელის კაცობრიობისა ან განათლებულ კაცობრიობის, ევროპის მაინც.

ჯერ კიდევ 1790 წელში ქადაგებდა ერთი გაზეთი—„მეფის მკვლელთა ბატალიონები შევადგინოთ ევროპის მონარქების წინააღმდეგო; და 1791-ში კი იგივე გაზეთი („პარიზის რევოლიუციები“) აქტიურით და მხურვალედ თხოულობდა ევროპაში სარევოლიუციო აზრების გავრცელებას: „მეფეებისათვის ასე საბედისწერო სიტყვა „რევოლიუცია“, მიუხედავად გვირგვინოსნების ყოველგვარ ღონისძიებისა, მივიდა ხალხის ყურამდე. უკანასკნელ განკითხვის დღის ხმა გაისმა ევროპის ოთხსავე კუთხეში. მონობის საფლავის სიღრმეში გაიგონეს ეს ხმა; იღვიძებენ; იპერტყენ ცრუმორწმუნეობის მტვერს; ჰგლეჯენ საბურავს და სინათლეს ხედავენ. თითქმის ყველა ფეხზე წამოდგა, ერთმანეთს უცქერიან და უკვე განცვიფრებული არიან, ამდენ საუკუნოების განმავლობაში როგორ ვიყავით განრთხმული სამეფო ტახტისა და მემამულეთა ფერხთა ქვეშო. ყველამ საფრანგეთისაკენ იბრუნა პირი, რადგან აქედან მოვიდა მათი გამღვიძებელი ხმა. აქ ბრწყინავს სავსებით ის ნათელი დღე, რომლის განთიადსაც ისინი ხედავენ... მეფენი ძრწიან—კაცობრიობა თავისუფლდება და ანგარიშს მოსთხოვენ.. ხალხები საფრანგეთის მხარეზე არიან... დღეს ხალხი აღარ ებრძვის ხალხს. რადგან აქამდე მეფენი შეთანხმებული იყვნენ ხალხთა დასაჩაგრელად, დღეს ხალხები შეთანხმდნენ, რომ ტახტიდან ჩამოაგდონ მტარვალები“.

საშიშროება რევოლიუციას გარედან მოელოდა და სწორედ ამან გამოიწვია საერთაშორისო სარევოლიუციო პროპაგანდა; ზოგი უკვე მსოფლიო რესპუბლიკაზე ეცნებობდა. როგორც დავინახავთ, ამავე გარემოებამ, გვირგვინოსნების შეთქმულებამ რევოლიუციის წინააღმდეგ გამოიწვია საფრანგეთის რესპუბლიკა.

—

სანამ ლუი მეთექვსმეტე უკანასკნელად სცდილობდა გაქცევას საფრანგეთის მტრებთან, რომ შემდეგ ბოლო მოეღო რევოლიუციისათვის, საფრანგეთში უკვე არსებობდა რესპუბლიკური პარტია.

„რესპუბლიკანისმი არის ლოღიკური შედეგი მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიისა ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ გამოუყვანიათ არც ფილოსოფოსებს, რომელნიც ერთხმად მონარხიის მომხრენი იყვნენ, რადგან ხალხი უვიცი და მეფის ერთგული იყო, არც 1789 წლის მოღვაწეთ იმავ მიზეზების გამო; გარდა ამისა თვით ლუი მეთექვსმეტე ხალხის საყვარელი პირი იყო.

სანამ ეს მეფე რევოლიუციის მომხრედ მიაჩნდათ, სანამ შესაძლებლად მიაჩნდათ იგი როგორც ხელმძღვანელი ახალ საფრანგეთისა, არც რესპუბლიკური პარტია იყო; მაგრამ როცა ლუი XVI წინააღუდგა ეროვნულ კრების იმ ღონისძიებათ, რომელნიც სასულიერო წოდების წინააღმდეგ იყო მიმართული, როცა 1790 წლის დასასრულს უცხოელ მეფეებს შეუერთდა საფრანგეთის ერის წინააღმდეგ, გაჩნდა იდეა მეფობის მოსპობისა და დაიბადა რესპუბლიკური პარტიაც.

მაგრამ მეფის ასეთი გადაბრუნება ხალხისთვის ვერ იყო სავსებით თვალსაჩინო და ეს ხალხი მეფობას არ გადაუდგა; მას არა ესმოდა რა რესპუბლიკელებისა და არც თანაუგრძნობდა მათ.

მეტი წილი დემოკრატებისა საშიშ გიჟობად სთვლიდნენ რესპუბლიკაზე ლაპარაკს, როცა ხალხი, მათის შეხედულებით, ისე უვიცი და შეუგნებელი იყო, და რადგან თვითონ ხალხს სურდა მეფობა, ამათი პოლიტიკა იყო მეფე სწორე გზაზე დაეყენებიათ ან ცუდის ჩადენის ნება არ მიეცათ, თუნდა ფიზიკურ ძალდატანებითაც.

რესპუბლიკელების პარტია, მოკლებული გლეხებისა და პარიზელ მუშების თანაგრძნობას, რიცხვით მცირეა; რესპუბლიკელები დემოკრატიული პარტიის უკიდურესი მემარცხენენი არიან.

მაგრამ ეს პარტია თანდათან ფეხს იკიდებს ზოგი „სახალხო საზოგადოებათა“ საშუალებით, ზოგიც საერთაშორისო პროპაგანდით. იგი გრძნობს, რომ ლოღიკა და მომავალი მის მხარეზეა; იგი ელის, რომ მეფობის რომელიმე დიდი და ყველასათვის თვალსაჩინო შეცდომა თვალს აუხელს საზოგადოებას.

ეს მოლოდინიც გამართლდა: მეფე პარიზიდან გაიქცა.

მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.

ვ. ლ—ძე.

ხალ ცხოვრების საძირკვლის ჩაყრა. იურიდიულმა საზოგადოებამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფოს ცხოვრების ახლად აღძრულ საკითხების განხილვაში; ამისთვის მას ხელს უწყობს თეორიული მომზადება და იურიდიულ ცხოვრების პრაქტიკული ცოდნა, უნდა გამოვარკვიოთ საწარმომადგენლო მართველობის საკითხები. ჩვენ საზოგადოებას ორი მიზანი აქვს—პოპულირიზაცია ნორმალურ სახელმწიფო წეს-წყობილების პრინციპებისა და შემუშავება სახელმწიფო ცხოვრების საკითხებისა.

შემდეგ კუზმინ-კარავაევმა წაიკითხა თავისი მოხსენება მომავალ საერო კრების საფუძველზე. ბოლოს შეიქმნა კამათი და დასასრულ გამოირკვა, რომ მომავალი საერო კრება უნდა იქნეს დამყარებული საყოველთაო, პირდაპირ, ყველასთვის თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებაზე; აუცილებელია ეხლავე უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნების ხელუხლებლობა, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება და ამასთან სრული ამნისტია ყველა დასჯილებისა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ საქმეებისა. („რ. ვ.")

მაქსიმ გორკის საქმე (ბრალდება პროკლამაციების შედგენა, რომელიც იწვევდა ხალხს არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დასანგრევად) გადაუციათ პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში. თავის დამცველად გორკის ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი აურჩევია. საქმე გაირჩევა ამ წლის გაზაფხულზე.

წერილი რედაქციის მიმართ

I

სტუდენტს პ. გედევანიშვილს.

პეტერბურგის „ქართველთა ახალ ჯგუფის" წარმომადგენელს და ვექილს ბ. გედევანიშვილს უნდა წინ გაუსწროს სამედიატორო სამართალს და წინდაწინვე თვითონ დასდოს მსჯავრი. ეს სულ მეტია ახლა.

ბ. გედევანიშვილს უსაფუძვლოდ მიაჩნია ჩემი აზრი, რომ საქმის გარჩევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწმეები იქნებიან. განა უფრო საფუძვლიანია ამის წინააღმდეგი აზრი?

სრულებით არ კმარა ოქმიდან ამონაწერი ადგილები, საჭიროა ბ. გედევანიშვილმა წარმოადგინოს ხელმოწერილი სია თავის თანამოაზრეთა. ეს უბრალო ფორმალური მოთხოვნა არ არის. **სიტყვა.**

II

(პასუხი ბ. ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს).

გამაკვირვა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კონსტანტინე დავითის ძის ერისთავის წერილმა „ცნობის ფურცლის" მე№ 2774-ში.

ბატონი მარშალი სწერს: „როდის და ვინ შემატყობინა დეპუტაციის დანიშვნა, ან ვინ მომანდო გურიის საქმეზე ტფილისში მთავარ-მართებელთან წასვლაო?" სწორედ გასაოცარია, განსაკუთრებით ჩემთვის ეს სიტყვები!

როცა ტფილისში ინტელიგენტთა წრის კრებაზე, გურიის საქმეების გამო რამდენისამე კერძო პირის შემდეგ, გადასწყდა მთავარ-მართებელთან მარშლებისა და საზოგადოების ზოგიერთ კერძო პირთაგან შემდგარი დეპუტაცია გაგზავნილიყო, მე, კრებისვე მონდობილებით, ვიკისრე ოზურგეთის მარშლის ბ-ნ კონსტანტინე ერისთავის დეპეშით გამოწერა, რადგანაც გარდა იმისა, რომ ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ვიყავი, პირადათ თავ. კონსტანტინე ერისთავს ძლიერ კარგად ვიცნობდი. არა ერთხელ მქონია მასთან საერთო საქმეზე მიწერ-მოწერა, როგორც დეპეშით, ისე წერილით მხოლოდ „ნიკოს" სახელით და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ოზურგეთის აზნაურების წინამძღოლმა კონსტანტინე ერისთავმა კარგად იცოდა, რომ ტფილისიდან საერთო საქმეზე „ნიკოს" სახელით ჩემს მეტი არავინ დეპეშას არ მისწერდა *): თუმცა ბ-ნი მარშალი ბრძანებს, რომ ტფილისში ბევრი „ნიკო"-ნი ჰყავს მეგობრები და ნაცნობნი, მაგრამ დასამტკიცებლად იმისა, რომ იმ დეპეშის დამწერად მარტოდ მე მთვლიდა, ის არის, რომ მან მხოლოდ მე მომწერა საპასუხო დეპეშა შემდეგის შინაარისა: „ტფილისში ნიკო თავდგირიძეს. მოსვლა არ შემიძლია. გთხოვ გამგებინო ამბავი საქმის შესახებ".

მეორე დასამტკიცებელი საბუთი იმის, რომ ოზურგეთის მარშალს-კი უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ტფილისში გამოწერის მიზნისათვის, ის არის, რომ ტფილისშივე დაუყოვნებლივ წამოვიდნენ ქუთაისიდან ამავე დროს ისეთივე კერძო დეპეშით დაბარებულნი—ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიჟარაძე და ქუთაისის ქალაქის მოურავის მოადგილე გრიგოლ გველესიანი. ნუთუ ბატონმა ოზურგეთის მარშალმა მაშინაც არ მიაქცია ყურადღება მაგ საქმეს, როცა მარტო ის არ ყოფილა გამოწვეული ტფილისში და სხვა წარმომადგენლებიც ყოფილან დაბარებულნი რაღაც საჭირო საქმისათვის?! დეპეშა ბატონ მარშალს კვირა დილას მიუვიდოდა, დაბარებული იყო სამშაბათისათვის და დეპუტაცია წარუდგა მთავარ-მმართებელს ოთხშაბათს; რომ მოესურვებია ბ. მარშალს, შეეძლო ქუთაისიდან წამოსულ დაბარებულ პირებს შემდეგაც წამოსულიყო და მოესწრო საქმისთვის. ორი-სამი კაცი დაუბარებლად ამოვიდა ტფილისში, როცა გაიგეს რაღაც საქმეაო. **ნიკო თავდგირიძე.**

---

*) ჩემი დეპეშის შინაარსი შემდეგი იყო: ქუთაისში. ოზურგეთის მარშალს ერისთავს. თქვენი ტფილისში ჩამოსვლა ძლიერ საჭიროა ფრიად მნიშვნელოვან საქმისათვის.

* * *

წერილები

სოფ. პატარა ონი (რაჭა). 5 მარტს, ღამის 12 საათზე, დაიწვა პატარა ონის საზოგადოების სასამართლო. ძლივს-ძლიობით გადავარჩინეთ მახლობელი დუქნები და სასწავლებლის შენობა. იღბალი კიდევ, რომ ბინდი არსაიდან იძროდა, თორემ, არამც თუ მახლობელი დუქნები და სასწავლებლის შენობა, არამედ მთელი სოფელი გადაიწვოდა. მოგეხსენებათ რაჭველები მჭიდროთ არიან დასახლებულნი, უბნა-უბნად. სასოფლო სასამართლოს დაწვა აცნობეს მაშინვე ადგილობრივ ბოქაულს. 8 მარტისთვის მოწვეული იყო მთელი საზოგადოება საქმის გამოსაძიებლად. არ გაუვლია დიდხანს ბოქაულის მოსვლის შემდეგ, რომ მამასახლისის თანაშემწემ მოუტანა ბოქაულს კონვერტი, რომელიც მისს ეზოს ჭიშკარზე ჩამოეკიდა ვიღაცას ღამე ზედ წარწერით: „პომოშნიკო, ეს კონვერტი ამბროლაურის ბოქაულს ასლან კვიტაშვილს გადაეცი. გადასცემ, გავიგებ და არ გადასცემ, იმასაც გავიგებ და თუ არ გადაგიცია, შენც ისეთივე დაწვა მოგელის, როგორიც სასოფლო სასამართლოს ეწიაო". ამისთანა მუქარის შემდეგ თანაშემწე იძულებული იყო ეს კონვერტი გადაეცა ბოქაულისთვის. ბოქაულმა, გახსნა რა კონვერტი და წაიკითხა შემდეგი. „ბატონო ამბროლაურის ბოქაულო, ასლან კვიტაშვილო! რისთვის მობრძანებულხართ? როგორც მობძანებულხართ, ისე წაბძანდით ყოველივე გამოძიების გარეშე სასამართლოს დაწვის შესახებ, თორემ გადავსწვავთ იმ სახლს, სადაც თქვენ იქნებით და თქვენც შიგ გამოგწვავთ". ბოქაული იმ დღეს არ წასულა, რადგან ყრილობა უკვე დანიშნული ჰქონდა მეორე დღისთვის. მეორე დღეს, ე. ი. 8 მარტს, მოგროვდა ხალხი რამდენიმე სოფლიდან, არ მისულან მხოლოდ სოფ. ხონჭიორისა და ღვარდიიდან. ბოქაულმა ჰკითხა საზოგადოებას, როგორ მოგივიდათ ეს საქმეო და მოითხოვა მიეცათ დამწველი. საზოგადოებამ ერთხმად შესძახა, ჩვენ არ ვიცით ვინ დასწვაო. ამის შემდეგ ბოქაულმა ნება მისცა საზოგადოებას თავისუფლად ელაპარაკებინა თავისი გაჭირვებანი და მოთხოვნილებანი. დიდხანს ილაპარაკეს და ბევრი რამ მოითხოვეს. მოითხოვეს განცალკევება ნამანევისა და ცახისა პატარა ონის საზოგადოებისაგან. პატარა ონის საზოგადოება შესდგება სამ წინანდელ საზოგადოებისაგან: ნამანევისა, ცახისა და ბაჯის საზოგადოებისაგან. საზოგადოება შეიცავს თორმეტ სოფელს. საზოგადოებები შეერთეს 1895 წელს. 1895 წელს დაარსდა აქ ორკლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. შესანახად სასწავლებლისა საზოგადოებამ გამოიღო 1300 მანეთი. ბევრი წილი საზოგადოებისა უკმაყოფილოა როგორც ამ სკოლისა, ისე სასოფლო სასამართლოსი, რადგან ვერ სარგებლობენ სიშორისა გამო (ზოგიერთი სოფელი დაშორებულია სკოლას 8—12 ვერსის მანძილზე და მერე ისეთ მთა-გორიან ადგილებშია). აი სწორედ ამან გამოიწვია ის თხოვნა, რომელიც მოხსენებულია ზევით, ე. ი. იგი შორეულ სოფლებმა ისურვეს ისევ ძველ წესზე დამყარებულიყო მათი სასამართლო და სკოლა. ზოგიერთებმა მოითხოვეს, დახურულიყო დროებით სასწავლებელი და სრულიად გაუქმებულიყო ამ სასწავლებელთან არსებული სამეურნეო განყოფილება. მოითხოვეს აგრეთვე, ნუ გვეყოლება ნურც მწერალი, ნურც მამასახლისი და ნურც სოფლის მოსამართლეები, ჩვენს საქმეს ჩვენვე განვაგებთო. ეს მოთხოვნილებანი ბოქაულმა წარუდგინა მაზრის უფროსს. 11 მარტს მოვიდნენ მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი და 12 საეროზო დარაჯი. ყრილობამ მაზრის უფროსს სასამართლოს დაწვის შესახებ იგივე პასუხი მისცა და იგივე თხოვნები შეიტანა, მხოლოდ სასწავლებლებთან სამეურნეო განყოფილების გაუქმებაზე არა უთქვამს-რა. სკოლის დროებით დახურვაზე მაზრის უფროსმა განუცხადა, ეგ თხოვნა შეუძლებელი და სისულელეაო. დასასრულ, ყრილობამ მოითხოვა, მაზრის უფროსს საქმის გარჩევა და გადაწყვეტა გადაედო ხალხის დაბრუნებამდე იმერეთიდან, სადაც იგი სამუშაოდ არის წასული, ე. ი. ნაალდგომებამდის, რაზედაც მაზრის უფროსი დასთანხმდა. სასოფლო სასამართლოს დამწველი მაინც ვერ აღმოაჩინეს.

ერთი დამსწრეთაგანი.

სოფ. ხოტევი (რაჭა). ყველას დიდად აინტერესებს ეხლა გაზეთები. ყველა გაფაციცებით უგდებს ყურს და კითხულობს სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ამბებს. თითქმის ყველა ერთხმად გაიძახის: „ვინ იცის, ეხლანდელი ჩვენი გაჭირვება ეგებ კარგად შეგვეცვალოსო". ამასთანავე აინტერესებთ ომის ამბებიც და კითხულობენ, თუ გაზეთი დაგინახეს ხელში, „ნეტავი როგორ არის, რას სწერენ გაზეთებში, შერიგებას ხომ არ აპირებენ რუსები და იაპონელები და ან რა დრომდი იქნება ეს საზარელი ომიო".

ხოტეველი ქალი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

18 მარტი

პეტერბურგი, 18 მარტი. ციმბირის პირველ საარმიო კორპუსის უფროსი შტაკელბერგი და მთავარ სარდლის შტაბის უფროსი სახაროვი ინიშნებიან დაჭრილებზე მზრუნავ ალექსანდრეს კომიტეტის წევრებად, მანჯურიის პირველ არმიის საველე შტაბის უფროსი ხარკევიჩი-კი მთავარ სარდლის შტაბის უფროსად.

ლონდონი. 18 მარტი. „დეილი მეილ"-ი იუწყება ადენიდან, გუშინ ჯიბუტიდან 16 სანახშირე გემი გავიდა და, როგორც ეტყობოდა, ბატავიისკენ, ანა და დიეგო-სუარესისკენ გაემართაო. ამ გემს თან დაბეჭდილი კონვერტებიც წაუღია.

ტოკიო, 17 მარტი (რეიტ.). გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ ზავის ჩამოგდების შესახებ, მაგრამ მთავრობა და ხალხი ისევ ისე უცქერენ ომს. პრესა დაბეჯითებით ამბობს, იაპონიას განზრახვა აქვს მტკიცეთ განაგრძოს ომი. არმია და ფლოტი ხანგრძლივ ომისთვის ემზადებიან. ჯარებს გამუდმებით გზავნიან ბრძოლის ველზე და ჩრდილოეთ მანჯურიაში გზებს ასწორებენ. რუსები მაგრდებიან ტუმენის ჩრდილოეთით, ხუნშუნისა და ნინგუტის ახლოს რკინის გზაზე.

სახალინი. სიმშვიდეა და სითბო. თოვლი დნება. რეიდზე ყინულია. მეორე დღეა სამხრეთის ქარი ჰქრის. ფოსტის მიმოსვლა წყდება.

პარიზი. სენატმა მიიღო 232-ის ხმის უმეტესობით 31-ის წინააღმდეგ რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია მთავრობის განცხადება და გამოთქმულია რწმენა, რომ სამხედრო მინისტრი, ოფიცრების სამსახურში დაწინაურებლად იხელმძღვანელებს მათი პირადი ღირსებებით. პალატაში განახლდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პროექტის განხილვა.

იალტა, 17 მარტი. საბჭომ ქალაქის დასამშვიდებლად დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობასთან ქალაქის ჯარების განწილებაზე, ქალაქის პოლიციის გაძლიერებაზე და ამოირჩიოს კომიტეტი დაშავებულების დასახმარებლად.

ოდესა. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გრადონაჩალნიკ ნეიდგარდტის მოკვლის განზრახვის შესახებ და გადაწყვიტა ორივე დამნაშავეს კატორღაში გაგზავნა, პოლიაკოვს 7 წლით და 4 თვით, ილიინს კი—ათი წლით.

გროდნო, 17 მარტი. „გუბერნ. უწყებებში" შემდეგია დაბეჭდილი: 6 მარტს საგუბერნიო სატუსაღოს ტუსაღებმა მიმართეს სატუსაღოს უფროსს მოთხოვნით, გადაეყვანა საქალებო განყოფილებიდან ცალკე კორპუსში ორი ქალი, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან ამ წლის 13 იანვარს კრინკაში მომხდარ აწიოკების გამო! ეს მოთხოვნა, როგორც უკანონო, არ დააკმაყოფილა უფროსმა. 7 მარტს სადამოს ცალკე კორპუსში დამწყვდეულმა ზოგიერთმა ტუსაღებმა შფოთი გამართეს, იყვირეს, იხმაურეს, ჩალეწეს ფანჯრების შუშები, დაამტვრიეს კამერის ავეჯეულობა და კარების გამოტვრევაც კი მოინდომეს; ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ ალბათ პროტესტი უნდოდათ ამ სახით განეცხადებინათ. წესიერება აღადგინა ქვეითა ჯარის ერთმა როტამ იარაღის უხმარებლათ. მეთაურნი საკანში ჩასვეს. ზოგიერთმა ტუსაღმა იჩივლა გუბერნატორთან, რომელმაც პირადად ინახულა სატუსაღო, ციხის მცველებმა გვცემეს არეულობის დროსო. საქმეს იძიებს საგუბერნიო სამმართველოს მთავარი მრჩეველი და საგანგებო მინდობილებათა მოხელე.

პეტერბურგი, 17 მარტი. ოფიციალური. ამ წლის 18 თებერვალს გამოცემულ რესკრიპტში მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და დაწესა შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით საგანგებო თათბირი, რათა მოლაპარაკება გაემართნათ იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა განხორციელებულ იქნას ხსენებულ რესკრიპტში უმაღლესად ნაბრძანები სახელდობრ, მოწვევა ღირსეულ, ხალხის ნდობით შემოსილ, მცხოვრებლებისაგან ამორჩეულ პირთ საკანონმდებლო რეფორმების წინასწარ შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებათ. ამ უმაღლეს ნების ასასრულებლად თათბირის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ ხელი მიჰყო იმ მასალების განხილვას, რომელიც მისდამი რწმუნებულ სამინისტროში იყო და რომელნიც ნათელს ჰფენენ გადასაწყვეტ საკითხის საყურადღებო მხარეებს. რადგანაც რჩევას რთული შრომა მოელის და ამასთან რესკრიპტშიდაც ნაბრძანები იყო, საჭირო სიფრთხილე იხმარეთ რეფორმების ცხოვრებაში გატარების დროსაო, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებულ იქნა შეჩერებულიყო და განსაკუთრებითი ყურადღება მიექცია რჩევაზე განსახილველ საქმეების, რაც შეიძლება, წესიერად მომზადებისთვის, ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საქმის შესახები მასალები, მათ რიცხვში სხვა-და-სხვა პირთა დაწესებულებიდან გამოგზავნილი პროექტები და მოსაზრებანი განსხვავდებიან როგორც საქმის დედა აზრზე შეხედულობით, ისე მის დაწვრილებით გარჩევით. რადგანაც ამნაირ პირობებში იყო საქმე, ამიტომ ყველა ამ დაუმზადებელ და გადაუხედავ მასალების გასარჩევად წარდგენა უფრო დააბრკოლებდა თათბირის მუშაობას. საქმის ამგვარად დაყენება მით უფრო უხერხული იქნებოდა, რომ რჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მარტო მაღალ წრეების წარმომადგენლებს და მოხელეებს-კი არა, იგი უნდა შესდგებოდეს აგრეთვე იმ პირთაგან, რომელთაც თავი უსახელებიათ ცოდნითა და სხვა-და-სხვა სამოღვაწეო ასპარეზზე მოქმედებით, საზოგადოთ ვინც ახლო იცნობს სახელმწიფოს ცალკე კუთხეების პირობებს და მოქალაქობრივ განვითარებას ამ კუთხეებში; ამ გვარი ხასიათისა რჩევისადმი მინდობილი საქმე და ამას ავალებს მას ქვეყნის კუთხეების სხვა-და-სხვაობა. ამიტომ რჩევა შველდათ სხვა-და-სხვა წრის კუთხიდან იქნება შემდგარი და, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია, რომ თათბირის დროს არა თუ შესამჩნევი, არამედ არსებითი განსხვავებაც არ აღმოჩნდეს შეხედულებებში საქმის ამა თუ იმ მხარეზე. ამიტომ, რათა მუშაობა დაჩქარდეს და დაუბრკოლებლათ წავიდეს წინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა საჭიროდ სცნო, ეხლავე შეუდგეს, მასალის შეკრებისდა მიუხედავათ, პირველ-დაწყებითი მოსაზრების შედგენას იმის შესახებ, თუ რა საფუძველი შეიძლება დაედოს რესკრიპტში გამოცხადებულ ბრძანების განხორციელებას ე. ი. მცხოვრებლებისაგან ამორჩეულ პირთა მოწვევას საკანონმდებლო რეფორმების წინასწარ განსახილველად და დასამუშავებლად; ამ მოსაზრებას ის წარუდგენს მინისტრთა რჩევას, რათა იგინი შეთანხმებულ იქმნენ მთავრობის საზოგადო მისწრაფებებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან მათ საბოლოო დამუშავებას ამ საგანგებო თათბირის დროს, რომელიც უნდა გაიმართოს თანახმად 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტისა. რადგანაც საქმე ამნაირათაა დაყენებული, ამიტომ ყველა მოსამზადებელი მუშაობა მიუხედავათ მის სირთულისა და აგრეთვე იმისა, რომ უნდა შეიკრიბოს სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებიდან ცნობები. ორ-სამ თვეზე მეტს არ გასტანს და ის საკითხიც, თუ რა გზები უნდა გამოინახოს უმაღლეს რესკრიპტის ბრძანების განსახორციელებლად, ყოველ მხრივ გადაწყდება, ვინაიდგან საერთო სახელმწიფო ინტერესები შეთანხმებულ იქნება ადგილობრივ სარგებლობასა და სახელმწიფოს სხვა-და-სხვა კუთხეების საჭიროებებთან. ამგვარი მოსაზრებანი წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრმა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილ ინება და უმაღლესად მოიწონა იგინი, მიმდინარე წლის 16 მარტს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

18 მარტი

პეტერბურგი. 17 მარტს შორეულ აღმოსავლეთიდან არ მოსულა ოფიციალური ცნობები.—უმაღლესის რესკრიპტით დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე დაინიშნა იმ კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელმაც იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ძეგლი უნდა დაუდგას. უმაღლესად ებრძანა პოლკოვნიკ გესკეტს იყვეს სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წლის 17 თებერვლის თარიღით: „ღამე ცვლილება არ მომხდარა. მტერს მოქმედება ეტყობა ფრონტზე რკინის გზის აღმოსავლეთით. თოვლი მოვიდა. ქარი ჩადგა".

ლონდონი. გაზეთები იგონებენ, რომ ვილჰელმ პირველმა მიაქცია ყურადღება ყვითელ საფრთხესა და ამბობენ, მაროკოში მუსულმანთა მეორე საფრთხეაო. კონსერვატორმა ჯორჯ მარტლემ ჰკითხა სამხედრო მინისტრს დეპუტატთა პალატაში, უჩვენებენ თუ არა ვილჰელმს გიბრალტარში მისვლის დროს ციხის იმ ნაწილებს, რომელნიც მიუკარებელია ბრიტანიის ქვეშევრდომთათვისო. ფორსტერმა უპასუხა, ეს მეფის ბრძანებასა და გიბრალტარში დაყენებულ უფროს ოფიცრების ტაქტზეა დამოკიდებულიო.

პეტერბურგი. გამოცხადდა, ვლადიმერის გუბერნია არა სამშვიდობოთ ხოლერისაგან.

პარიზი. ხუთ დეპუტატს განზრახვა აქვს წარუდგინოს დელკასეს მაროკოს შესახებ შეკითხვა.

ნეაპოლი. 23 მარტს გერმანიის იმპერატორი გემ „ჰამბურგი"-დან, რომელიც არსენალთან გადაადგებს ღუზას, გადაჯდება „ჰოჰენცოლერნ"-ზე და 24 მარტს იტალიის მეფეს ინახულებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,72½
ბანკის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა . . .	85½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	385½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. .	—
5½% ობლ. იმავე საზოგად. . .	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. .	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა . .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . .	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია . . .	216½

მისვლა რკინის გზის პოეზდებისა

15 ოქტომბრიდან.

„ფრჩხილებს" გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ(ოთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„ტფ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა""

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—20

პირველი საწყობი შეშისა
ცუდად დაწყობილი
გ. ი. კურცხალიასი
კარგად დაწყობილი



ანდრეევის ქუჩა დაწყ... პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწონობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშაქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—23)
გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (ფ—176—209.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, ჰურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნე

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.